საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 26 დეკემბერი. 2018 წ. №263 (8664) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

...ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს!

პატრიარქის მოწოდება სამშობლოს სიყვარულზე, შემწყნარებლობაზე, შრომისმოყვარეობასა და განათლებისკენ სწრაფვაზე არის სწორედ ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება დღეს საქართველოს

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მცხეთაში განაცხადა, სადაც პატრიარქის აღსაყდრების 41-ე წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო წირვას ესწრებოდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდი უპრეცედენტო აღმშენებლობის ხანაა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.

„მინდა ყველა მართლმადიდებელს მივულოცო, შესრულდა 41 წელი საქართველოს პატრიარქის აღსაყდრებიდან. ამ პერიოდის განმავლობაში აშენდა, რესტავრაცია ჩაუტარდა და აღდგა ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტერი და ეს არის მართლაც უპრეცედენტო აღმშენებლობის ხანა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. საქართველოს პატრიარქის მოწოდება სამშობლოს სიყვარულზე, შემწყნარებლობაზე, შრომისმოყვარეობასა და განათლებისკენ სწრაფვაზე არის სწორედ ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება დღეს საქართველოს. მინდა, დიდი მოწიწებით მას უღრმესი მადლობა გადავუხადო იმ ღვაწლისთვის, რაც მან შეიტანა და შეაქვს ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

გუშინ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა.

მადლიერნი ვართ ღვთის წინაშე...

„დღეს განსაკუთრებით გამახსენდა და ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, რომლებმაც 41 წლის წინ იმჟამინდელი კგბ-ს კორდონი გაარღვიეს და მცხეთაში შემოვიდნენ საქართველოს პატრიარქის აღსაყდრებაზე დასასწრებად. ეს იყო რწმენით სავსე ჩამოსვლა მცხეთაში და იმედით სავსე ჩამოსვლა, რომელიც აჩვენებდა ადამიანებს, რომ რაღაც ახალი ხდებოდა სრულიად, საქართველოს ისტორიაში და ზუსტად ამ იმედებმა გაამართლა“, — განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

არა ოკუპაციას! არა ქართველთა, აფხაზთა და ოსთა შორის განხეთქილებას!

5

ხალხი ყველაფერს ხედავს!

გიორგი ქობულია:

ჩვენი მთავარი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა, ინკლუზიურობა და სიღარიბის დაძლევა

2

დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტი ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბებს!

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბებს. ამის შესახებ მან დედაქალაქის საკრებულოში ისაუბრა, სადაც 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მიმდინარეობდა.

„დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტი ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბებს. ეს არის მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ გვექნება შესაძლებლობა უფრო მეტი საინტერესო პროექტი განვახორციელოთ თბილისისთვის. ამ ბიუჯეტის 38% ინფრასტრუქტურული მიმართულებით დაიხარჯება, რადგან ბევრი რაიონი, ქუჩა და უბანია დარჩენილი, რომელსაც მოწესრიგება სჭირდება“, — განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, 2019 წლის ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება 20 მილიონი ლარით გაიზრდება.

„დაახლოებით 35%-ზე ცოტა მეტი დაიხარჯება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მიმართულებით. სამწუხაროდ, თბილისში ჯერ კიდევ რჩება ბევრი ოჯახი, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს და მათ დედაქალაქის მთავრობის, ასევე, საკრებულოს თანადგომა ყველაზე მეტად სჭირდება. შესაბამისად, ბიუჯეტი ამ მიმართულებით 20 მილიონი ლარით იზრდება“...

გიორგი ჩაკვეტაძე: მართლაც - უკონკურენტოდ!

10

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტული სექტორი

ენერგეტიკა, ლოჯისტიკა, მომსახურების სექტორი, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, წარმოების სექტორი, ბუნებრივი რესურსების მართვა, ინოვაციები და ტექნოლოგიები, — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, სწორედ ესენია საქართველოს ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტული სექტორები. გიორგი ქობულიამ ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გუშინ ისაუბრა . მან დეპუტატებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგები, სამომავლო გეგმები და ეკონომიკური განვითარების საკუთარი ხედვა გააცნო.

უფრო კონკრეტულად, გიორგი ქობულიას აზრით, ენერგეტიკის სექტორში პრიორიტეტული მიმართულებაა გენერაციის ობიექტების აშენება და ენერგორესურსების იმპორტის შემცირება, ასევე ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა. ლოჯისტიკის მიმართულებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი მთავარ ამოცანად სატრანზიტო პოტენციალის ათვისებას და საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესებას ასახელებს. ამასთან, გიორგი ქობულია ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტულ სექტორებზე საუბრისას აქცენტს აკეთებს ტურიზმის და საექსპორტო სექტორების შემდგომ განვითარებაზე.

ფუნდამენტურად მეტია დოლარი და როგორ შეიძლება, ლარი დავარდეს!

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ლარის კურსს აქვს სტაბილურობა და ის შეიძლება იყოს გამყარებულიც, მაგრამ როგორც მინიმუმ, იქნება სტაბილური. საიდან მოგვაქვს ჩვენ ეს აზრები, ეს არ არის ჩვენი განცდა, ეს არის მათემატიკაზე დამყარებული დასკვნები. ლარის კურსი რომ დაეცეს, დოლარი უნდა იყოს ნაკლები ეკონომიკაში, ანუ დოლარი უნდა გავიდეს სადღაც... ჩვენ მოგიყვანეთ დაანგარიშება 2017 და 2018 წელს შორის, ნაკლები კი არა, 65 მილიონით მეტი დოლარი იყო ეკონომიკაში. რანაირად უნდა გაიაფდეს ლარი? ლარი შეიძლება, გაიაფდეს მხოლოდ იმისგან, ამ თუ იქნება დიდი ფსიქოლოგიური დაწოლა და პანიკური ხასიათის მოვლენები. თორემ, ფუნდამენტურად მეტია დოლარი და როგორ შეიძლება ლარი დავარდეს“, — განაცხადა გიორგი ქობულიამ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიას უსმენენ.

გიორგი ქობულია: ჩვენი მთავარი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა, ინკლუზიურობა და სიღარიბის დაძლევა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გუშინ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის ძირითად მიზნებსა და გამოწვევებზე ისაუბრა.

მისი განცხადებით, სიღარიბესთან ბრძოლა დღეს-დღეობით უმთავრესი ამოცანაა. „რა თქმა უნდა, ხალხს უმძიმესად უჭირს, 20% ეს არის უზარმაზარი მაჩვენებელი, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სიღარიბეს“, — აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა. მისი ინფორმაციით, ბოლო 3 წლის განმავლობაში სიღარიბის შემცირების ტემპები საგრძნობლად შენელდა. სიღარიბის დაძლევის ბევრად უფრო მაღალი ტემპი გვჭირდება.

სამუშაო ადგილების შექმნა ჩვენი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. **„საქართველოს ეკონომიკაში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ეს არის სტატისტიკა. თუმცა, ჩვენ ვთვლით, რომ ეს არ არის საკმარისი. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამუშაო ადგილები იქმნება — ჩვენ გვინდა, ეს მაჩვენებელი წელიწადში 60 ათასამდე ავიყვანოთ“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და შესაბამისად, საბაზისო პროფესიების ათვისება დღესდღეობით ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ამას გარდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევაზე ისაუბრა, კერძოდ: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეფექტურობა, საქონლის ღირებულებაში ტრანსპორტირების კომპონენტის შემცირება; საკანონმდებლო ბაზის დამატებითი დახვეწა; ხარისხის სისტემების დაახლოება გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ უ ლ ი ქვეყნების სტანდარტებთან; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით საშუალო და მცირე ბიზნესისთვის; ინვესტორების მოზიდვა და ხელშეწყობა; სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა და სახელმწიფო კომპანიების ეფექტიანობის ზრდა.

სამუშაო ადგილების შექმნა, ინკლუზიურობა და სიღარიბის დაძლევა, — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, სწორედ ესაა ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის ძირითადი მიზნები. ამას გარდა, გიორგი ქობულიას აზრით, მნიშვნელოვანი გამოწვევებია ასევე ვაჭრობის საექსპორტო პოტენციალია განვითარება, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დამყარებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და პროდუქტიულობის ზრდა.

თუ თქვენ გინდათ, თქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს უფრო ნაკლებად უჭირდა ხალხს, ეს არის ტყუილი!

— მე ვთქვი, რომ ხალხს მეტად უჭირს, მაგრამ არა უფრო მეტად, ვიდრე უჭირდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. თუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს უფრო ნაკლებად უჭირდა ხალხს, ეს არის ტყუილი“, — ასე მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ საქართველოს პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობისა“ და „დემოკრატიული საქართველოს“ წევრებს.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ გაიგო ბევრმა, თუ რა ვთქვი. ზუსტად ვთქვი შემდეგი — საქართველოში ხალხს ძალიან უჭირს. მაგრამ, რადგანაც ხალხს დღეს არ უჭირს ბევრად უფრო მეტად, ვიდრე უჭირდა გუშინ, ამისგან ხალხისთვის სიტუაცია არ იოლდება“, — განაცხადა გიორგი ქობულიამ. საკომიტეტო მოსმენაზე გამოსვლისას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ სიღარიბის დაძლევა არის ნომერი პირველი ამოცანა და მის დასაძლევად ბევრად მაღალი ტემპი გვჭირდება.

„ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირეს

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე „ევროპული საქართველოს“ მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა.

კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განმარტებით, საკითხი პროცედურად არასწორად იყო დასმული და ფორმით იმ დადგენილებას ეწინააღმდეგება, რომელიც ამ თემაზე პარლამენტმა დაამტკიცა. „რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა და პარლამენტი პროცესზე მონიტორინგს ვაგრძელებთ. რაც შეეხება დადგენილებას, პოლიტიკური ორგანო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არ უნდა ჩაერიოს და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ უნდა დაარღვიოს. საკითხი პროცედურულად არასწორად იყო მომზადებული და კონსტიტუციის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა“, — განაცხადა ბესელიამ.

ამ საკითხს სჭირდება მაქსიმალური გამჭვირვალობა და პროცედურების ზუსტი დაცვა

ასეთი მნიშვნელობისა და ძალიან მაღალი ინტერესის მატარებელი საკითხი მოითხოვს გააზრებულ და პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებას, — ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურებთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, კომიტეტმა წარდგენილი კანდიდატურების ბიოგრაფია და სხვა დეტალები უნდა შეისწავლოს.

„ჩემთვისაც, ვინც წლების განმავლობაში სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. ამიტომ ამ საკითხს პირველ რიგში, სჭირდება მაქსიმალური გამჭვირვალობა და პროცედურების ზუსტი დაცვა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ინფორმაცია უნდა გამოვითხოვოთ იმ კანდიდატებთან დაკავშირებით, რომელიც გუშინ შემოვიდა ბიუროზე და არ ახლავს მას არც ავტობიოგრაფია და სხვა მონაცემები. კომიტეტი გამოითხოვს ამ ინფორმაციას. ჩვენ სათითაოდ უნდა შევისწავლოთ ყველა გარემოება. პროცედურა მოითხოვს, რომ მოვუსმინოთ ყველა კანდიდატს და ამის შემდეგ მიიღოს კომიტეტმა გადაწყვეტილება, ვის აძლევს რეკომენდაციას და ვის არა. მე პირადად მიმაჩნია, რომ ვიდრე კონკრეტულად ვისაუბრებ გვარებთან დაკავშირებით, უნდა დავიცვათ პროცედურა. უზენაეს სასამართლოს მართლა ძალიან ეჩქარება, რადგან არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის მოსამართლეები, მაგრამ ეს პრობლემური მოცემულობა არ უნდა მოხდეს კანონის ხარჯზე“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

მიხეილ სააკაშვილის ეპოქის მოსამართლეების დანიშვნით, სააკაშვილის ეპოქა დაბრუნდება

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაეს სასამართლოში წარსადგენი მოსამართლეთა 10 კანდიდატურის დასახელებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, არ შეიძლება კაბინეტში განმარტოებული იუსტიციის საბჭოს რამდენიმე წევრის მიერ დასახელდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სია, თან ყველანაირი წინაპირობის გარეშე. ფოფხაძის განცხადებით, პროცედურა, რომლითაც საკითხის განხილვა დაიწყო, არასწორია.

„ეს პროცესი მაქსიმალური ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნებისმიერი მოსამართლე უნდა სარგებლობდეს მაღალი პროფესიული ავტორიტეტით და უმწიკვლო ბიოგრაფიით. ეს ადამიანები მერე განაგებენ სამართალს. ფორმალურად პროცედურა დაცულია, მაგრამ ყველანაირ პროცედურას აქვს სტანდარტი. მაგალითად, ჟურნალისტებს არსად უწერიათ, როგორ უნდა ეჭიროთ მიკროფონი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მიკროფონი თავში ჩამარტყათ. აქ მოვლენ კანდიდატები და მერე გამოვხატავ ჩემს პოზიციას თითოეულ მათგანზე. უნდა მოხდეს მათი წარდგენა კომიტეტის წინაშე, უნდა შემოგვხედონ თვალებში და გასცენ პასუხები შეკითხვებზე, რომელსაც დავუსვამთ. მე მიმაჩნია, რომ სააკაშვილის ეპოქის მოსამართლეების დანიშვნით, დავაბრუნებთ სააკაშვილის ეპოქას“, — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

„საპარტნიორო ფონდის“ მენეჯმენტმა მედიას წლიური ანგარიში ჩააბარა

„2018 წელი ფონდისთვის ნაყოფიერი იყო. უძრავი ქონებისა და წარმოების განვითარების სფეროში, წელს არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი. ზოგიერთი მათგანის მშენებლობა დაიწყო, ნაწილი კი უკვე გავხსენით. აქტიურად ვიმუშავეთ ქართული პროდუქტის შექმნის, ადგილობრივი ბაზრის განვითარებისა და საექსპორტო პოტენციალის გაუმჯობესების მხრივ, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს“, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

მედიასემინარზე ფონდის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეებმა გიორგი დანელიამ და გიორგი ხელაიამ, ასევე, ფონდის შვილობილმა კომპანიებმა. მათ შორის, „დარგობრივი განვითარების კომპანიის“ დირექტორმა მირიან გოგიაშვილმა, კლინიკების განვითარების კომპანიის“ ხელმძღვანელმა თეა გიორგაძემ, „ლიკანი რეზიდენციის“ დირექტორმა ბესიკ ბუგიანიშვილმა და „რუხის სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელმა დავით მაჭავარიანმა. „სტარტაპ საქართველოს“ პროექტის მიმდინარეობის შესახებ ჟურნალისტებს კომპანიის დირექტორმა გიორგი ლომიძემ მიაწოდა ინფორმაცია და შედეგები გააცნო.

მედია სემინარი სასტუმრო „რედისონ ქოლექშენ წინანდალში“ შედგა, რომელიც „საპარტნიორო ფონდის“ მხარდაჭერით წელს გაიხსნა. მედიასემინარზე წინანდლის მამულების ტურისტული შესაძლებლობების, კულტურული ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ კომპანია „სილქ როუდ ჯგუფის“ დამფუძნებელმა გიორგი რამიშვილმა ისაუბრა.

სოციალური მომსახურების სააგენტო „ლიბერთი ბანკს“ სასამართლოში უჩივის

რა დარღვევები აღმოაჩინა აუდიტმა სოციალურად დაუცველთა მომსახურებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2015-2016 წლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეისწავლა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციებიც გასცა..

გამოვლენილ დარღვევებს შორისაა ლიბერთი ბანკის მიერ ხელშეკრულების შესრულების არასათანადო მონიტორინგი, სარეიტინგო ქულის გამოთვლასთან დაკავშირებული ხარვეზები და ბენეფიციარების პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევა.

სააგენტოს მიერ შემუშავებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციარებზე თანხის გადარიცხვის ეფექტურ პროცესს, — აცხადებს აუდიტის სამსახური.

სააგენტო 2014 წლის შემდეგ არ ახორციელებს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. შესაბამისად, სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად მიზნობრივად ხარჯავს ბანკი საბიუჯეტო სახსრებს.

აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში გამოვლინდა ლიბერთი ბანკის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევები თანხების დაგვიანებით გადარიცხვის გამო და აღნიშნულისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვა.

ამასთან, დღემდე მიმდინარეობს 2014 წელს დაწყებული სასამართლო დავა „ლიბერთი ბანკსა“ და სააგენტოს შორის სადავო თანხებზე, რომელიც მოიცავს 7 ბენეფიციარის საქმის განხილვის შედეგად „ლიბერთი ბანკზე“ დაკისრებულ 486,758.06 ლარის პირგასამტეხლოს, ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის.

„სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მონიტორინგის მექანიზმის არარსებობის შედეგად, სააგენტოს არ გააჩნია რწმუნება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და დროულ ხარჯვაზე,“ — აღნიშნულია აუდიტის ანგარიშში.

ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის ვალიდაციის პროცესში არსებული ნაკლოვანებები:

სააგენტო ვერ ახორციელებს ბუნებრივი აირის მოხმარებისა და განათლების დონის მაჩვენებლების დაზუსტებას. მიზეზი კი ისაა, რომ სააგენტოს არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამის უწყებებთან და ამასთან ქვეყნის დონეზე სრულყოფილი მონაცემები არ არსებობს, რაც რისკის ქვეშ აყენებს მაძიებელთათვის ადეკვატური ქულის გამოთვლის პროცესს და არათანაბარ პირობებში აყენებს საარსებო შემწეობის მაძიებლებს.

ასევე პრობლემურია სარეიტინგო ქულის გამოთვლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, ბენეფიციარის ასაკის განახლება.

გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საარსებო შემწეობის პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა დააფიქსირა ბენეფიციარებზე საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად გადარიცხვის ფაქტები.

სააგენტოს არ აქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა.

სააგენტო არსებული საკანონმდებლო ვალდებულების მიუხედავად, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესრულებას და რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს მოქალაქეთა შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

კერძოდ, არსებობს თანამშრომელთა არაავტორიზებული დაშვების შესაძლებლობა მოქალაქეთა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე.

ამასთანავე, სააგენტო ვერ უზრუნველყოფს რაიონული ცენტრების ადეკვატურ ტექნიკურ მხარდაჭერას (IT support), რაც ზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის რისკს.

სააგენტოს მიერ 2013-2016 წლებში ჯამურად გაცემული საარსებო შემწეობის მოცულობა 1,018.8 მლრდ. ლარია.

მარიამ ტიტვინიძე

საახალწლო სამზადისი და არასაღდესასწაულო განწყობა ნავთლუღის ბაზარში

რამდენიმე დღეში მსოფლიო ახალი, 2019 წლის დადგომას იზეიმებს. როგორი რეალობით, განწყობით და მოლოდინებით ხვდებიან საქართველოში მომავალ წელს, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა? რა თქმა უნდა, მთავარი სურვილებიც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული. მოუტანს თუ არა მოსახლეობას ეკონომიკურ კეთილდღეობას 2019 წელი, ამას ზუსტად ერთ წელში გავიგებთ, თუმცა, ერთი რომ ფაქტია: ამ ახალ წელს საქართველო ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის ბიძინა ივანიშვილის დაპირების შესრულების იმედით შეხვდება. საპრეზიდენტო არჩევნების წინ სწორედ ბიძინა ივანიშვილმა სთხოვა მოსახლეობას, ერთი წელი მიეცათ და, სამაგიეროდ, 2018 წლისგან რადიკალურად განსხვავებულ, ეკონომიკურად გაძლიერებულ 2019 წელს დაჰპირდა.

„კომერსანტი“ მთელი წლის განმავლობაში მკითხველს სთავაზობდა რეპორტაჟებს ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე სწორედ იმ ადგილებიდან, სადაც ყველაზე კარგად ჩანს ქვეყნის რეალური ცხოვრება. 2018 წლის მიწურულს ჩვენი შემდეგი „გაჩერება“ სამგორი-ნავთლუღის ბაზარია.

თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ ნავთლუღის ბაზარში, მის შესასვლელში აუცილებლად შეამჩნევდით ჩურჩხელებში ჩამალულ ოდნავ მორიდებულ, ლოყებაღაჟღაჟებულ ქალს. ლელა ნადაშვილი პროფესიით ბუღალტერია, თუმცა, უკვე 28 წელია ნავთლუღის ბაზარში მუშაობს. ნადაშვილი გვიყვება, რომ წინა წლებთან შედარებით, სიტუაცია უარესობისკენ არის შეცვლილი და მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა მისული.

საქართველოში ადამიანები გადარჩენისთვის იბრძვიან, — გვეუბნება ნადაშვილი.

„გაჭირვება ადამიანებს ძალიან დაეტყო, უკიდურეს მდგომარეობამდეა ხალხი მისული. მეხვეწებიან, გატეხილი ჩურჩხელა მივყიდო, რათა ერთი ჩურჩხელა მაინც დადონ საახალწლო მაგიდაზე. ამ დროს ადამიანი არ შეგეცოდება? ბაზარში მხოლოდ გაჭირვებული ადამიანები ყიდულობენ. დღეს გლეხის პროდუქტს ფასი არ აქვს, არადა, ყველაზე ძვირი უნდა ღირდეს. მარკეტებში ჩურჩხელა ხუთი ლარი ღირს, ჩვენთან ორ ლარადაც არ იყიდება“.

ლელა ნადაშვილი ბაზარში საკუთარ პროდუქციას ყიდის, გამომუშავებული თანხით კი მრავალშვილიან ოჯახს არჩენს. ნავთლუღის ბაზარში მომუშავე გამყიდველი გვიყვება, რომ სამსახურში ყოველდღე უკეთესი ცხოვრების იმედით მიდის. იმედია ის, რაც ლელა ნადაშვილს გაუსაძლის ყინვაში გამძლეობას მატებს:

ტყემალიც და აჯიკაც ჩემი გაკეთებულია, მაგრამ რად გინდა, არ იყიდება. 3-4 წლის წინათ, როდესაც საწებლებით ვაჭრობა დავიწყე, ათასობით შეკვეთა გვქონდა, ახლა დღეში ერთი რომ გავყიდო, მიხარია. ძალიან ცუდი სიტუაციაა. ხშირად დიდი ბოთლიდან პატარა ბოთლში ვასხამ, რომ იაფი იყოს და ხალხმა ყიდვა შეძლოს. მინდა, ის დრო მოვიდეს, ხალხმა ახალ წელს თავი ბედნიერად იგრძნოს. ჩვენ ისეთი ერი ვართ, ვიმსახურებთ ამ ბედნიერებას, მაგრამ ჩვენი პატრონი არავინ არაა. იყო დრო, როცა არაფერი მაკლდა და წელიწადში ორჯერ საზღვარგარეთ დავდიოდით დასასვენებლად, დღევანდელ რეალობას ცხოვრება ჰქვია? ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთია“, — გვიყვება ლელა ნადაშვილი.

ნავთლუღის ბაზარში გამომუშავებული თანხით არჩენს ომის ვეტერან ქმარს, 4 შვილსა და 9 შვილიშვილს აფხაზეთიდან დევნილი ქალიც, რომელმაც სახელის და გვარის თქმა არ ისურვა. ქალი, რომელსაც „კომერსანტი“ ესაუბრა, 78 წლისაა და მას ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ნაცვლად იმისა, რომ ქალბატონმა მედიკამენტები მიიღოს, ყავას სვამს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, წამლების ფული მის ოჯახს არა აქვს.

„ძალიან ცუდი სიტუაციაა, გუშინ, შვილებს ვფიცავარ, 60 თეთრზე მეტი არ მივაჭრია. დღეში 10 ლარი თუ ვივაჭრე, ჩემთვის დღესასწაულია. რამდენიმე დღის წინათ, ჩურჩხელა ლარად ავიღე და უკვე დასკდა, იძულებული ვარ, თუ ვინმე ბევრს იყიდის, თავის ფასში გავატანო. ჩვენი ცხოვრება წვალების გარდა არაფერია, ცხოვრება გაუარესებულია. დამიჯერეთ, თუ ძალიან არ ცივა, გათბობას არ ვრთავ, ბავშვები „გრელკით“ თბებიან. მეც წნევები მაწუხებს, თავის ტკივილის წამალიც კი გაძვირებულია, ზოგჯერ ყავას ვსვამ და ამით გადამაქვს ტკივილები. ძალიან გამიხარდა ივანიშვილის გამოჩენა, იმედი მაქვს, რომ სიტუაცია შეიცვლება“, — ამბობს ნავთლუღის ბაზარში მომუშავე დევნილი ქალი.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ნავთლუღის ბაზარში მომუშავე ადამიანებს აქვთ, გარევაჭრობაა. ისინი აცხადებენ, რომ ისედაც რთულ ცხოვრებას სახელმწიფო დღითი დღე ურთულებთ:

„გარეთ დაყარეს ყველაფერი და ვინ შემოვა აქ? არაფერი კარგი არ იქნება, ტყუილად ვდგავართ. ხალხს ურჩევნია, პროდუქტი ქუჩაში, ნაგავში ჩაყრილი იყიდოს, კარგი მთავრობა რომ გვყავს, მაგის ბრალია ეს, გუშინწინ გამოვიდა კალაძე და არ იქნება გარევაჭრობაო, დღეს გამოვიდა და დაუშვა. ერთ დღეს კერავენ, მეორე დღეს ჭრიან. ამ ქვეყანაში სიტუაციას რა გამოასწორებს... ყველა ელოდება ახალ წელს, ცოტა რომ ივაჭროს და ოჯახში მცირე თანხა შეიტანოს. გარემოვაჭრეებს უნდათ ჭამა და ჩვენ არა“, — ყვება ერთ-ერთი მომუშავე.

გარევაჭრობასთან დაკავშირებით კალაძის გადაწყვეტილებამ ძალიან გაახარა მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ქუჩაში ყიდის თავის პროდუქტს. სახელის და გვარის თქმა არც მათ ისურვეს, პირად საუბარში კი გვეუბნებიან, რომ მერის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რადგან ძალიან ბევრ ოჯახს საახალწლოდ პურის ფული გაუჩნდება.

ბაზრობაზე თითოეული ჩვენი რესპონდენტი თავის პროდუქტს გვათვალიერებინებს და გვეუბნება, რომ ქართულ ნაწარმს არაფერი შეედრება. იყვნენ ისეთებიც, ვისაც საუბრის სურვილი საერთოდ არ ჰქონდა. დადარდიანებულები და ძალიან გაბრაზებულები იდგნენ საკუთარ დახლებთან და მყიდველებს ელოდებოდნენ, მყიდველებს, რომელთა რიცხვიც, მათივე თქმით, საშინლად შემცირებულია. ლელა ნადაშვილისა და აფხაზეთიდან დევნილი ქალის ოჯახები, რომ 2019 წლისთვის განსაკუთრებულად ვერ მოემზადებიან, ეს მათ იციან. ჩვენთვის უცნობია, კიდევ რამდენი ოჯახისთვის იქნება 31 დეკემბერი ერთი ჩვეულებრივი რიგითი დღე, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს თუ გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, რომ კიდევ ბევრი ბავშვი დარჩება უსაჩუქროდ და კიდევ ბევრ ადამიანს ექნება განცდა იმისა, რომ ცხოვრება ჯოჯოხეთია.

ბაჩო ადამია

რომ უარესი არ მოხდეს!..

გულდამძიმებულს ვერ ვიტყვი, მაგრამ გახარებული ნამდვილად არ ეთქმის ახლა ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. საქართველოზე ვფიქრობ, ვფიქრობ ხალხზე, ჩვენს ხალხზე და იმასაც ვფიქრობ – ვფიქრობთ თუ არა ჩვენ – ყველანი ერთად, ჩვენს სამშობლოზე. თავი არავის მინდა შევაბეზრო იმის გახსენებით, თუ როგორ ვცხოვრობთ, როგორი სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით, თუმცა, თუკი გუშინდელს შევადარებთ დღევანდელ ცხოვრებას, სიმართლე თუ გვინდა, ვთქვათ, უკეთესობა აშკარაა. ზოგადად ვამბობ, თორემ ძალიან ბევრ ოჯახს, ჯერჯერობით, არავითარი გაუმჯობესება არ უგრძნია, მე არ ვგულისხმობ ღარიბებს, რომელთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში კი არადა, თვით ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც თვალში საცემია. არა, მე ვამბობ საშუალო ფენაზე, რომელიც თვალდახელშუა გაგვიქრა, ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ბიზნესმენობას მიჰყო ხელი. ნაწილი კი გაღარიბებულია, საცოდავ მდგომარეობაშია. ასე სცოდნია თურმე კაპიტალისტურ წყობილებას.

რაღაც ძალიან უცნაურად მიედინება ცხოვრება. სიმდიდრესთან ერთად სიღარიბეც „იფურჩქნება.“ რა ვქნათ, სწორედ ასეა ჩვენთან, სიმდიდრე მატულობს, მას კი ჩრდილივით თან დასდევს სიღარიბე! ეს არ არის გასაკვირი, არც ის უნდა გვიკვირდეს ღარიბს, რომ მდიდარი გულზე არ ეხატება, გასაკვირი მხოლოდ ერთი რამ არის – ზიზღი, სიძულვილი, უხამსობა რომ ყელყელაობს ჩვენთან, სოციალურად თანასწორ ადამიანებში, მაგალითად, პარლამენტარებს შორის, უფრო სწორად – ოპოზიციურ და მმართველ პარტიებს შორის. აგრესია, რომელსაც ისინი ერთმანეთში ავლენენ, აზარალებს არა მხოლოდ მათ, არამედ – ქვეყანას, ხალხს. რატომ არიან ადამიანები ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი?

კულტურისა და განათლების ნაკლებობას თვლიან ყოველივე ამის მიზეზად. კი, ესეც არის, მაგრამ არის კიდევ სხვა – ფსიქიკა. ადამიანი ღმერთი არ არის, მას ბევრი რამ შეუძლია, ბევრი რამ აქვს ღმერთისაგან ბოძებული, მაგრამ არა უსაზღვროდ და უკიდეგანოდ. აი, სწორედ აქ ეხმარება ადამიანს აღზრდა, კულტურა, განათლება. ამ ძვირფასი ღირებულებებით, რომლებიც თავისთავად არ მოდის და რომლებითაც აღჭურვას დიდი დრო, წვრთნა, შრომა და რუდუნება სჭირდება, ლამაზდება და მშვენიერდება ადამიანი, ადამიანური ხდება. ყოველივე ამისთვის კაცობრიობამ შექმნა სკოლები და ბავშვთა აღზრდის სხვადასხვა კერები. ვერ ვიტყვით, რომ ქართველებს ასეთი დაწესებულებები გვაკლია, მაგრამ მთავარი შედეგია. გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, ქართულ ყოფით სამყაროს, ახალი ამბავი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ, ქართველები, თავს ვიწონებთ ჩვენი ტრადიციებით, კულტურით, ზრდილობით, მამაკაცებისგან სუსტი სქესისადმი განსაკუთრებული მოწიწებით, თუმცა, თავის მოწონება ერთია, მეორე და მთავარი – სინამდვილეა. ამ სინამდვილეში, რეალობაში ჩვენ, სამწუხაროდ, ხშირად ვცოდავთ. ამასწინანდელმა პარლამენტის სხდომამ (ისე როგორც ხშირად), მძიმე შთაბეჭდილება დაგვიტოვა, იმიტომ კი არა, ჩვენ რომ ზრდილობასთან შეუგუებელი პარლამენტარები არ გვინახავს, არა, იმიტომ უფრო, რომ აქ შეხლა-შემოხლა მამაკაცსა და ქალს შორის მოხდა. და ეს არ იყო უბრალო შეხლა-შემოხლა, დაპირისპირება, ეს იყო ნამდვილი უზრდელობა და ემოციური ძალადობა მამაკაცისა ქალზე – საუბარი არ აცალა, აზრის გამოთქმის საშუალება არ მისცა. ჩემი თვალსაზრისით, მამაკაცი პარლამენტარის (ნიკა მელიას, ჩვენდა სამწუხაროდ, პარლამენტარი რომ ჰქვია!) აშკარა სურვილი დებოშისა და აურზაურის ატეხვა იყო. მან ეს სურვილი განახორციელა და რა მერე, გარდა იმისა, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოდან, პარლამენტიდან უზნეობის კიდევ ერთი სურათი დაიხატა და მას მთელი საქართველო და არა მარტო საქართველო, უყურებდა, რა მივიღეთ! „გიჟი მიუშვი ნებასაო“.. ამბობს ქართული ანდაზა. აჰა, მიუშვეს... და განა მოეგო გონს, პირიქით, ეს უზნეობა მოწინააღმდეგეს სრულიად გადააბრალა და არც არავის მოსვლია აზრად, რომ საქმე გარჩეულიყო, დებოშისტი დასჯილიყო. როგორც ჩანს, უძლურია ჩვენი კანონმდებლობა და ეს, სხვა უამრავ ნიუანსებთან ერთად, აუძლურებს მთავრობას, ავტორიტეტს უკარგავს ხალხის თვალში და ხელ-ფეხს უხსნის უზნეო ადამიანების ჯგუფს მორიგი აურზაურის ასატეხად, მთავრობის უძლურების დასამტკიცებლად! დიახ, ამიტომ დატრიალდა უარესი რამ პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს – 16 დეკემბერს. ვისაც შეუძლია თეთრის თეთრად დანახვა და შავის შავად აღქმა, ის უთუოდ მიუხვდებოდა ჩანაფიქრს კახეთში – ველისციხეში ავად თავშეყრილებს. ტელევიზორიდან გვესმოდა მათი აგრესიული ხმაური, ვხედავდით, თუ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას წესრიგის დამცველებს, ეს არ იყო მარტივი წინააღმდეგობა, ეს იყო დაუნდობლობა: ძვრებოდნენ ავტომობილებზე, ავტობუსებზე, ამტვრევდნენ მანქანებს, პოლიციელებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ და ასე შემდეგ. გადაადგილების და თელავში შესვლის უფლებას არ გვაძლევთო-უმტკიცებდნენ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც თელავში ჩასასვლელად სხვა გზას უთითებდნენ...

ნაცებს პრეზიდენტის ინაუგურაციის ჩაშლა სურდათ, საკმაოდ მრავალი, საპატიო სტუმრის თვალწინ! მგონი კი არა, ასე იყო, ამას არც მალავდნენ. დიახ, ასე სურდათ, მაგრამ ვერ შეასრულეს და ვითომ, გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების სახელით (სინამდვილეში ისინი ხომ მხოლოდ ნაციონალები არიან!), მათთვის დამახასიათებელი უზნეო „მეთოდებით“ განაგრძობენ „ბრძოლას“ უკვე არჩეული პრეზიდენტის ლეგალიზაციის წინააღმდეგ. რა უნდა გაგვიკვირდეს დღევანდელ საქართველოში, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში, მართლაც, სასწაული რამ ხდება.

არა, ძვირფასო მკითხველო, იქ, სადაც არ ზეობს და ყვავის განათლება და კულტურა, დემოკრატია ვერ დამკვიდრდება! არადა, დემოკრატიულად ირჯებიან ვითომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ერთად ვიყოთ და ერთად ვაშენოთ საქართველოო. ვისთან ერთად, ძვირფასებო, ბეკეკასა (ახალშობილი, დემოკრატიის გზაზე შემდგარი საქართველო) და მგლებთან, ნაციონალებად წოდებულ პარტიასთან შეფარულ საზოგადოების ნაწილთან) ერთად? კი ბატონო, მაგრამ, რომ არაფერი გამოდის?! ძალიან ცუდი პრეცედენტია! ქართველ ხალხში (სხვა ხალხებშიც) ბევრია ისეთი, ვისაც, მეტი რომა არა ვთქვათ, ანალიტიკური აზროვნება კი არ უჭირთ, უბრალოდ არ შეუძლიათ და ამას, სამწუხაროდ, განათლების მიღება არ შველის. ყველა განათლებული ადამიანი რომ კულტურული და ზრდილობიანი იყოს, მაშინ არა უჭირდა რა საქართველოს, ის დაზღვეული იქნებოდა ომებისა და სისხლისღვრისაგან, ყოველ შემთხვევაში, მეტად მშვიდობიანად განვითარდებოდა, ვიდრე ეს ახლა ხდება. ძალიან დიდი და ბევრი რამ ადამიანის ფსიქიკასა და ხასიათზეა დამოკიდებული. ფსიქიკა და ხასიათი კი გენეტიკის წყალობაა, გენეტიკა კი ის საოცარი საიდუმლოებაა, რომელსაც ვერც დაახარისხებ, ვერც გაამრავლებ, ვერც წვრთნით და განათლებით შეიძენ. რამდენ გლეხს, მუშას თუ სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელს ვნახავთ ჩვენ ლოგიკურად მოაზროვნეს, მოსმენის კულტურით დაჯილდოებულს, დიალოგებში მშვიდსა და მწყაზარს... და, შეადარე ახლა ისინი იმ ადამიანებს, რომელთაც ჩვენი პოლიტიკური შოუს წამყვანები ხშირად იწვევენ ხოლმე ტელევიზიებში ამა თუ იმ თემაზე სასაუბროდ. და რას ვხედავთ და რა გვესმის იქიდან? ვხედავთ ნერვიულ სახეებს და გვესმის მხოლოდ ყაყანი და აურზაური, რაც მაყურებელზე არცთუ კარგ, სასიამოვნო, შთამბეჭდავ გავლენას ახდენს! ჩვენი დღევანდელი საზოგადოების აზროვნება, განათლება, კულტურა და ზრდილობა საუკეთესოდ აისახება სოციალურ ქსელებში, კომენტარებში. სწორედ ამ კომენტარების საშუალებით, შეიძლება ქართველი ხალხის ხასიათის, ფსიქიკისა და განწყობის შესწავლა!..

ზოგადად რომ ვთქვათ, რა არის ჩვენი ცხოვრება, როდემდე უნდა ვიყოთ ამ დაძაბულობასა და აგრესიულობაში? სად არის პრობლემა, სად ვეძებოთ იგი მდგომარეობის გამოსასწორებლად? იქნებ, ჩვენსავე ცნობიერებაში? ან იქნებ მომავლის იმედში? ალბათ, ორივეს თავისი ადგილი აქვს და ერთი მეორეს ვერ შეცვლის. პასუხის ძიება ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც დიდ რუსთველს მივადექი:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი
აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს,
რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე
უნდა, ვით ქვითკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების
კაცი ჭირსა“...

დიახ, თავისივე ცნობისაგან ჭირს ჩავარდნილებს, დღეს რომ ადამიანზე (პოლიციელზე) განხორციელებული ძალადობისთვის დაპატიმრებულს, პატრიოტად გვისახავენ...

საზოგადოების ამრევნი და ამშლელნი, საკუთარ თავსაც, რომ პატრიოტებად თვლიან, რეალობასა და ლოგიკურ აზროვნებას მოკლებულთ, რა ეშველებათ, ისინი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან, საჭირო ადამიანები. როგორ დავანახოთ მათ, რომ ჩვენია ეს ქვეყანა, ჩვენი სამშობლოა, როგორ მოვაცილოთ ახირებულ აზრებს, როგორ დავუბრუნოთ საზოგადოებას ისე, რომ უარესი – სამოქალაქო დაპირისპირება (ომი?!) არ მოხდეს?!

ამაზე ვფიქრობ მე, ჩემო მკითხველო და ამაზე უნდა ვიფიქროთ ყველამ!

გულნარა სტურუა

უვიზო რეჟიმის საკითხი და საზღვრის კვეთის წესების დარღვევა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა შეხვედრა გამართა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან სეიედ ჯავად ყავამშაჰიდისთან და ირანის ისლამური რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლებთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალი ასგარ მოჰამმადი.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ირანს შორის ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში არსებული, მათ შორის ბოლო პერიოდში საკონსულო და საზღვრის კვეთის დროს წარმოქმნილი საკითხები. აღინიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ირანის მოქალაქეების მხრიდან საქართველოს საზღვრის კვეთის წესების დარღვევებს (ხშირად სათანადო ინფორმაციის არქონის გამო) და ამისთვის საჭიროა მათი ინფორმირებულობის გაზრდა. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ირანელ კოლეგებს შესაბამისი სტატისტიკა წარუდგინა.

ირანულ მხარესთან ასევე შეთანხმდა, რომ ქართულ მხარესთან თანამშრომლობით და ირანელი ვიზიტორების ცნობადობის გაზრდის მიზნით, მომზადდება შესაბამისი საინფორმაციო მასალა საქართველოს საზღვრის კვეთის, საქართველოში ბიზნესის წარმოების, სწავლის ან მკურნალობის რეგულაციების შესახებ, რომელსაც ირანული მხარე შესაბამისი უწყებების და ორგანიზაციების მეშვეობით გაავრცელებს.

შეხვედრაზე ასევე განხილული იყო საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულება და შეთანხმდა, რომ სასურველია, მოხდეს ხელშეკრულების დებულებების დახვეწა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ხელშეკრულების არასწორი მიზნით გამოყენების შესაძლებლობებს.

შეხვედრის დასასრულ ირანულმა მხარემ აღნიშნა, რომ შეხვედრისას მიღებულმა ინფორმაციამ სიცხადე შეიტანა განხილულ საკითხებში. ორივე მხარემ, გამოხატა მზადყოფნა აქტიურად ითანამშრომლონ მომავალში.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ!

ᲐᲠᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐᲡ! ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ, ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐᲡ!

„...ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ **სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული, თქვენ — ჩემი, მე — სხვისი, სხვამ — სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ ამ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“, — მთაწმინდის ღირსეული ბინადრის, ხალხის საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის ეს სიტყვები ერთგვარ რეფრენად მიჰყვებოდა გასულ შაბათს, 22 დეკემბერს, საქართველოს ბიბლიოთეკის ნოდარ დუმბაძის სახელობის პარლამენტის დარბაზში საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ მიერ მოწყობილ შეხვედრა-დიალოგს.**

მოყვანილი ამონარიდი მწერლის ციდა, ორი მოთხრობის შემცველი წიგნის „გულის“ გარეკანს ამშვენებს, რომელსაც მისი აფხაზური თარგმანიც ახლავს. ეს მცირე ძღვენი მისმა უმცროსმა ქალიშვილმა **ქეთი დუმბაძემ** ასოციაციის მიერ გამართული შეხვედრა-დიალოგის მონაწილეებს მოუმზადა, რომელთა შორის მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, განათლების, ხელისუფლების, მოსწავლე ახალგაზრდობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები იყვნენ. წინა საახალწლო დღეებში გამართული ამ უაღრესად საგულისხმო თავყრილობის თემა კი „ქალთა როლი სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში“ გახლდათ.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ერთ-ერთი პირველი სამამულო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც არსებობის 26 წლის მანძილზე უამრავი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული ქვეყანაში სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობისა და გაჭირვებაში აღმოჩენილ თანამოქალაქეთა ჯანმრთელობის დასაცავად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად. სწორედ აღნიშნულ საკითხებს, ასევე დაგროვილი გამოცდილებისა და წლეულს გაზაფხულზე სამთავრობო ინიციატივის „პირველი ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მხარდასაჭერად მიმართულ ძალისხმევას შეეხნენ თავიანთ შესავალ გამოსვლებში ასოციაციის თანათავმჯდომარეები **მაია კვეზერელი-კოპაძე** და **ნელი გურგენიძე**.

— საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წარმოშობის ხანაში შეიქმნა და როცა 2018 წლის გაზაფხულზე სამთავრობო ინიციატივის შესახებ „პირველი ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, ჩვენ მას უმალ გამოვეხმაურეთ და კონფლიქტის ზოლში ორივე მხარეს მცხოვრებთათვის სამედიცინო მომსახურების რამდენიმე აქციაც ჩავატარეთ, თუმცა კი ამის გარდა, ბევრ სხვა საგულისხმო პროექტსაც ვახორციელებთ, — აღნიშნა ქალბატონმა **მაია კვეზერელმა-კოპაძემ**. მან ასევე მიმოიხილა ასოციაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დასახმარებლად წლების მანძილზე საგანმანათლებლო-სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, დასაქმებისა და სხვა სფეროებში განხორციელებული პროექტები, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყველაფრის გაკეთება შესაძლებელი გახდა ჩვენი მოსახლეობისა და ამერიკელ დონორთა გულწრფელი, უანგარო დახმარების წყალობით. მან დამსწრეთ ამცნო თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების მზადყოფნის შესახებ მთავრობის ინიციატივის „პირველი ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მხარდაჭერის ფარგლებში, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან აბიტურიენტების უფასოდ მომზადების თაობაზე.

ქალბატონმა **ნელი გურგენიძემ** თავის გამოსვლაში დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქვეყნის მთლიანობისა და ერთიანობის აღსადგენად აუცილებელია სამშვიდობო პროცესებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი ძალების მთელმა სპექტრმა — როგორც სამთავრობო სტრუქტურებმა და ჯარმა, ისე შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სტუდენტმა-ახალგაზრდობამ. ქალბატონმა ნელი გურგენიძემ სიხარულითა და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შეხვედრა-დიალოგს მრავალი სტუდენტიც ესწრებოდა.

— საზოგადოების მთელი ძალისხმევა შერიგების გზების ძიებაზე უნდა იყოს მიმართული, თანაც თითოეული ნაბიჯი და ინიციატივა სათანადოდ აწონ-დაწონილი და ჯეროვნად შეფასებული უნდა იყოს, — თქვა ქალბატონმა ნელი გურგენიძემ. ამასთან, მან ერთგვარი სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან აბიტურიენტთა უფასოდ მომზადების თავისთავად დიდად მისასალმებელი ინიციატივა ჯერაც აუმოქმედებელია, რადგან მას სათანადო გათვლები დროულად არ ახლდა და, ამდენად, პრაქტიკაში განსახორციელებლად

სრულიად გამოუსადეგარია. ქალბატონმა ნელიმ ასევე დიდი წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ მავთულხლართები შიდა ქართლში ლამის ყოველდღიურად წინ მოიწევს, ბოლო არ უჩანს ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის გატაცებებს და რომ არც აფხაზეთში, არც ცხინვალის რეგიონში ქართველებთან შერიგებაზე ლაპარაკის გაგონებაც არ სურთ და ამ უკიდურესად ნეგატიური ტენდენციის დასაძლევად ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი.

სამთავრობო ინიციატივის „პირველი ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ შესახებ ინფორმაციით გამოვიდა შერიგებასა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის საკითხთა სამოქალაქო ინიციატივის დეპარტამენტის უფროსი **ზვიად ზვიადაძე**. მან აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა, რომლის მომზადებაში მრავალი სახელმწიფო სტრუქტურა და ორგანიზაცია იყო ჩართული, ორი წლის მანძილზე მუშავდებოდა და მაქსიმალური კონკრეტულობითაა გაწერილი. იგი სამ ძირითად მიმართულებას — **ვაჭრობას, განათლებასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას** მოიცავს. მომხსენებელმა ისინი ცალცალკე მიმოიხილა და ხაზი გაუსვა მის უმთავრეს ელემენტს, რომელიც **დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენელთა პირდაპირ, უშუალო კონტაქტების გაძლიერება-გაღრმავებას გულისხმობს**. ბოლო მონაცემებით, აფხაზეთთან წლიურმა სავაჭრო ბრუნვამ 15 მილიონი დოლარი შეადგინა და ეს გარემოება არავითარ პოლიტიკურ მდგენელს არ შეიცავს.

ბატონი ზვიად ზვიადაძე ასევე შეეხო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ჯანდაცვის სფეროში, რა დროსაც ქართველი მედიკოსები იქაურ მოქალაქეთა ე.წ. „მწვანე“ პასპორტებს მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ყურადღებას არ აქცევენ. ილაპარაკა განათლების სფეროში „1+4“ პროგრამის განხორციელების მნიშვნელობაზე, რომელიც 2011 წლიდან მოყოლებული მოქმედებს. აგრეთვე ილაპარაკა მომავალი წლიდან ასამოქმედებელ პროგრამაზე, რომლის ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდებს საქართველოს მთავრობა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებაში დახმარებას გაუწევს, რასაც წინასწარ ფართომასშტაბიანი მოსამზადებელი საკანონმდებლო მუშაობა დასჭირდა. იგი ასევე შეეხო საყოფაცხოვრებო და სოციალურ-ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესების ზოგიერთ ასპექტს.

შეხვედრა-დიალოგის მსვლელობისას ემოციურობით გამორჩეული იყო ცნობილი პოეტის, ქალბატონი **მზია ხეთაგურის** სიტყვა, რომელმაც დიდი გულისტკივილით აღნიშნა: აფხაზეთშიც და ცხინვალის რეგიონშიც კონფლიქტები მშვიდობიანად და წარმატებით რომ გადაიჭრას, საამისოდ საზოგადოების ყველა მცდელობას სათავეში ხელისუფლება უნდა ედგას — როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო. ამისთვის კი, თავდაპირველად, აუცილებელია, რომ პოზიცია-ოპოზიციამ ერთმანეთი კი არ „ჭამოს“ და „კორტნოს“ არჩევნებსა თუ საპარლამენტო ვითომდა დებატებში, არამედ გაერთიანებული ძალებით ქვეყნის ჭირ-ვარამს მიხედოს.

დიდი გულითადობითა და ჩვეული სიდარბაისლით გამოირჩეოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ვახტანგ ყოლბაიას** გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ მსგავსი საკითხები არა მარტო მიმდინარე შეხვედრის მსგავს ღონისძიებებზე უნდა განიხილებოდეს, არამედ საქართველოს თითოეული მოქალაქის ყოველდღიური ფიქრის, განსჯის საგანი უნდა იყოს და დასახული ამოცანების გადასაჭრელად დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს. მან აფხაზეთის მთავრობის ამ მხრივ სამოქმედო გეგმებზე ილაპარაკა და დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ქართულ-აფხაზური დაპირისპირება ხელის ერთი მოსმით ვერ მოგვარდება, ვინაიდან პრობლემის სასიკეთოდ გადაჭრას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს იმის მიუხედავადაც კი, რომ შერიგების პროცესში უამრავი უმაღლესი რანგისა და დიდი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩართული. ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ გულდაწყვეტით ილაპარაკა იმაზე, რომ აფხაზები დღემდე უნდობლად უცქერენ ქართველებს, თუმცა კი ჩვენ მათგან მტრის ხატი წლების მანძილზე მაინც არ შეგვიქმნია და იქაურ საზოგადოებაში ბოლო ხანებში აშკარად იკვეთება რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულების უარყოფითით შეცვლა — **ხალხი ყველაფერს ხედავს და ყველაფერს ხვდება**.

დამსწრეთა წინაშე ასევე გამოვიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „კავკასიური მოზაიკის“ ხელმძღვანელი **ნაირა ბეპიევი,** დევნილთა სოლიდარობის ცენტრიდან **ციცინო ბაბუციძე,** ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსი **ვლადიმერ იმნაძე,** გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ლია ჩლაჩიძე,** ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ნანა კობერიძე,** მომავალი ჟურნალისტი, სტუდენტი **გიორგი დამენია**.

შეხვედრა-დიალოგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ქალებისადმი, რომელშიც გამოხატულია შეხვედრის მონაწილეთა ერთსულოვანი მხარდაჭერა სამთავრობო ინიციატივისადმი „პირველი ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. ესაა მოწოდება ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი ქალებისადმი, ნებისმიერ დარგში დასაქმებული, ან დაუსაქმებელი, მაგრამ ოჯახზე და ბავშვების აღზრდაზე მზრუნველი ქალბატონებისადმი, აფხაზი და ოსი დედებისადმი, დებისადმი:

„ᲓᲐᲕᲓᲒᲔᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲕᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲗ ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲔᲠᲛᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ, ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲕᲣᲗᲮᲠᲐᲗ „ᲐᲠᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐᲡ“, „ᲐᲠᲐ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲮᲚᲐᲠᲗᲔᲑᲡ!“, „ᲐᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲪᲮᲝᲔᲑᲐᲡ!“, ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲕᲣᲬᲧᲝᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ!

ᲗᲘᲗᲝᲗᲔᲣᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲩᲐᲕᲠᲗᲝᲗ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ: ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲠᲣᲚᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘ, ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ, ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ, ᲫᲐᲚᲗᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲐᲛ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ.

ᲣᲤᲐᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲕᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ!“

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

„ყველაფერი ოცოცან და ყველაფერი გაუგებათ მხოლოდ სოლუნებსა და თაღლითებს“

ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ვინ იყო ანტონ ჩეხოვი?

ანტონ ჩეხოვს, რუსული ლიტერატურის ფრიად გონებამახვილ და ბრწყინვალე კლასიკოსს, კარგად იცნობს მთელი მსოფლიო.

ეს გამოცემა შეიცავს მიზანაუცდენელ აფორიზმებს, ტევად აზრებს, ბრძნულ გამონათქვამებს, მოსწრებულ შესიტყვებებად ქცეულთ, და ბევრს დღემდე უცნობთ მკითხველთათვის.

აქვე, ყოველი თავის დასაწყისში, გაეცნობით ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების საგულისხმო ამბებს.

ავტობიოგრაფია:

თქვენ ჩემი ბიოგრაფია გინდათ?

აი, ისიც.

დავიბადე ტაგანროგში 1860 წ.

1879 წ. ტაგანროგის გიმნაზიაში გავასრულე კურსი. 1884 წ. კურსი გავასრულე მოსკოვის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის განყრით...

1891 წ. ვიმოგზაურე ევროპაში, სადაც ვსვამდი იშვიათ ღვინოს და მივირთმევდი ხამანწკებს. წერა დავიწყე 1879 წ. „სტრეკოზა“-ში... ვცოდავდი დრამატულ ნაწილშიც, თუმცა ზომიერად... სიყვარულის საიდუმლოებას 13 წლისა ჩავწვდი... ვარ უცოლო, ანუ თაუში. პენსიის მიღებას ვისურვილებდი...

მწერალთაგან ტოლსტოის ვამჯობინებ, დანარჩენთ, ექიმთაგან – ზახარინს.

თუმცა ყოველივე ჩმახია.

თუ ფაქტები არა გაქვთ, ადექით და ლირიკით შეცვალეთ ისინი...

„მარტოს ულისთვის ყოველგან უდაბნოა!“ ეს ფრაზა იყო ამოკვეთილი იმ ბეჭედ-საბეჭდავზე, უსასტიკესი მამისგან რომ შემორჩა ანტონს.

გამომცემლობა „ფენიქსი“ (დონის როსტოვი), ავტორი-შემდგენელი მ. სიჩევა.

* * *

ჩემი მინა მოსკვა-რეკას გაღმაა, აქ კი ნამდვილი პროვინციაა: სისუფთავეა, სიწყნარეა, სიიაფეა და... არც მოსულელობა აკლია.

* * *

პიტერში რატომღაც პოტიომკინად მომნათლეს, თუმცაღა არც არანაირი ეკატერინე არა მყავს. ცხადია, მუზათა მედროვედ მივაჩნივარ.

* * *

მჯერა, რომ არცრა უკვალოდ არა რჩება და რომ სუყოველ უმცირეს გადადგმულ ნაბიჯსაც კი მნიშვნელობა აქვს როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი ცხოვრებისთვის.

* * *

ვერ გამიგია, რა მინდა საკუთრივ მე, სიცოცხლე თუ შუგლში ტყვიის დახლა.

* * *

ჩემი ფიზიკური არსებობის გამო მკურნალობა და გარჯა, ცოტა არ იყოს, რაღაც ზიზღისდამაგვარს შემაგონებენ. არა, არ ვიმკურნალებ.

* * *

ოცდახუთი წელიწადია, რაც ჩემს მოთხრობებზე კრიტიკას ვკითხულობ და არც ერთი ღირებული შენიშვნა არ მახსოვს, არც ერთი კეთილი რჩევა არა მსმენია. მხოლოდ ერთხელ სკაბიზევსკიმ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება, მან დამიწერა, სადმე ღობის ძირას მთვრალი მოკვდეგიო...

* * *

ჭორებისგან თავის დაცვა იგივეა, რომ მავან ურიას ვთხოვო, ფული მასესხე-მეთქი. ამაოა! რაც გენებოთ, ის იფიქრეთ ჩემზე.

* * *

სულაც არა მწადს, რომ ჩემგან განსაკუთრებული ვინმე დადგეს, რომ დიადი რამ შევქმნა, მე უბრალოდ მინდა, რომ ვიცოცხლო, იმედიანად ვიყვე, ყველგან ვასწრებდე... სიცოცხლე ხანმოკლეა, რაც შეიძლება უკეთესად უნდა გახვიდე ბოლოში.

* * *

მე 20 ათას წლიურ შემოსავალს ვსაჭიროებ, რადგან უკვე აღარ შემიძლია ქალთან წოლა, თუ ღამის აბრეშუმის პერანგი არ აცვია.

* * *

ცოლის მოყვანისთანავე გავდედაკაცდი.

* * *

სულ იმის ცდაში ვიყავი, რომ ჩემს ნაცნობთ ჩემში უფრო მეტად ექიმი დაენახათ, ვიდრე მწერალი, მოკლედ, გვარიანად მოკრძალებული მწერალი ვიყავი.

* * *

ძაღლისშვილსავით დასნეულებული და დაზაფრული ვარ.

* * *

მთელი ჩემი ცხოვრება, თუ ჩემს უშფოთველ სინდისს დავუჯერებთ, არც სიტყვით, არც საქმით, არც ზრახვით, არცრა მოთხრობებში, არცრა ვოდევილებში არა მსურვებია მოყვასისა ჩემისა ცოლი, არცრა მონა იმისი, არცა ხარი იმისი, არცრა პირუტყვი იმისი, არცრა მომიპარავს რა, არც მითვალთმაქცია, არცა მიქლესია ძლიერთა წინაშე და არცრა მნდომებია იმათგან, არცრა შანტაჟი მომიწყვია და არც კიდევ იმათ ხარჯზე მიცხოვრია. მართალია, ცხოვრება სიზარმაცეში გამფლანგვია, უაზროდ მიღინცილია, მიმუცელღმერთია, სასმელში ჩავმხრჩვალვარ, არეარეზე მიხეტიალია, მაგრამ ეს ხომ ოდენ პირადულია და არც იმის ფიქრის უფლებას მართმევს, რომ ზნეობრიობის მხრივ არცრა კარგით და არცრა ავით ჩვეულებრივთაგან არ გამოვირჩევი. არცრა გმირობა და არცრა სისაძაგლე არ ჩამიდენია, მეც ისეთივე ვარ, როგორიც უმრავლესობაა.

* * *

ხანისად ცის დასალიერზე გაკრთებიან ხოლმე წეროები, სუსტი ქარი ყურთ ატყობინებს იმათ ყრიყინს, ერთ წუთში კი, რა სიხარბითაც არ უნდა გახედო შორეულ სილაჟვარდეს, ვეღარ მოიხილავ ვერცრა წერტილს, ვერ გაიგონებ ვერცრა ჩქამ-ჩქროს – ადამიანებიც ზუსტად ასევე კრთებიან თავიანთი სახეებითა და სიტყვებით ცხოვრებაში და ისე იძირებიან ჩვენს წარსულში, მეტს არცრას არ ტოვებენ, მცირე რამ ხსოვნის ნაკვალევის გარდა.

* * *

შემოდგომის სუნი ტრიალებს. რა ვქნა, ძალიან მიყვარს რუსული შემოდგომა. ამ დროს რაღაც უჩვეულო ნაღვლიანობა, სითბო და სილამაზეა. რომ შემეძლოს, ავდგებოდი და სადმე გავფრინდებოდი წეროებთან ერთად. ოდესღაც ჩემს ბავშვობაში შემოდგომობით მგალობელ ჩიტებს ვიჭერდი ხოლმე და ბაზარში ვყიდდი. აბა, სიამოვნება ის იყო!

* * *

ჩემ თავზე წერა არ შემიძლია, და რა ვქნა...

არაფუჭი შრომა

არცრაა შრომით შეძენილ სიმშვიდეზე უფრო ტკბილი.

– დედაჩემო, ამას იქით მაშას* სკოლის ფულს მე გადავიხდი!

იმ „დაუვიწყარ წუთს, როცა ანტოშა – მაშინ ჯერეთ კიდევ სულ ნორჩი სტუდენტი – მივიდა და უთხრა“ დედას ეს სიტყვები, ის ხშირად იგონებდა: „იმ დროიდან ხელი მოგვემართა... ანტონი – უპირველეს ყოვლისა – სულ იმის ცდაში იყო, რომ ყველაფრის ფული თვითონ გადაეხადა და ყველასთვის სახსარი რამ გამოენახა...“

იგი მაშინ 19 წლისა იყო.

მერე განუწყვეტელ სამუშაოს მიჰქონდა მთელი დრო – ჟურნალში „შავი მუშაც იყო“, თანაც საექიმო პრაქტიკას ეწეოდა, მაგრამ კალმისთვის ხელი არ გაუშვია, რის ნაყოფიც 25 წლის მანძილზე სხვადასხვა სახის 900-ზე მეტი ნაწარმოებია. რაც უფრო მეტსა წერდა, მით უფრო ეხელქვეითებოდა ცხოვრება. მხოლოდ შრომით უზრუნველყო მან თავისი თავიც და თავისი ოჯახის საშუალო კეთილდღეობაც.

და კიდევ ერთი არანაკლებად მნიშვნელოვანი დეტალი. იმპერატორმა ნიკოლოზ II 1900 წლის წინ ხელი მოაწერა განკარგულებას იმის თაობაზე, რომ ანტონ ჩეხოვს მიენიჭა შთამომავლობითი აზნაურის წოდება და მესამე ხარისხის წმინდა სტანისლავის ორდენი. მაგრამ ჩეხოვმა უარი თქვა მეფის წყალობაზე. იგი სჯერდებოდა თავისი შრომით მოპოვებულ უმცროსი სამედიცინო მოხელის წოდებას. მან შეინარჩუნა თავისუფალი შემოქმედის უცილობელი დიდებულება. სწორედ ამაში იყო ჩეხოვის უტყუარი ძალაუფლება! უარი თქვა აგრეთვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წოდებაზეც. აკადემიაში წარდგენილი იყო თვით მაქსიმ გორკის მიერ, რომელიც მეამბოხური აზრებისა გამო მალევე გარიცხა ამ აკადემიამ. ჩეხოვმა იცოდა, რომ თავისი შრომით პატიოსნად მოპოვებულ წოდებას ეგრე ადვილად ვერავინაც ვერ წაართმევდა. წოდებათა და ხარისხთა არამყარ სამყაროში იგი ღირსებიან მოთამაშედ დარჩა, რომელმაც ფსონი საკუთარ შრომასა და საკუთარ შეძლებაზე დადო.

* * *

საერთო სიკეთის მსახურების სურვილი აუცილებლად უნდა იყვეს სულის მოთხოვნილება, პირადი მედნიერების პირობა.

* * *

ხალხის ძალა და ხსნა იმისივე ინტელიგენციაშია, რომელიც პატიოსნად აზროვნებს, გრძნობს და მუშაობა ძალუძს!

* მაშა – ანტონ ჩეხოვის უმცროსი დაია.

(გგრძელება იქნება)

* * *

გავშვოგაში გავშვობა არა მქონია.

* * *

პატარაოგაში იმზომ ცოტას მეფერებოდნენ, რომ ახლა, უკვე წლოვანი, მოფერებას როგორც უჩვეულოს, აქამდე მცირედ განცდილს რასმე, ისე აღვიქვამ. ამიტომ ძალიანაც მინდა სხვათა მოფერება, მაგრამ ვერ ვახერხებ: გავუხეშდი და ზარმაცი ვარ, თუმცა ვიცი, რომ ჩვენებურს მოუფერებლად თითს ვერ გაანძრევინებ.

* * *

დესპოტიზმმა და სიცრუემ ისეთნაირად დაგვიმახინჯეს ბავშვობა, რომ გულის ამრევი და საშინელია მოსაგონებლადაც კი.

* * *

ისე შემაძრწუნებლად ვარ წამხდარი იმ ამბით, რომ ისეთ გარემოში დავიბადე, გავიზარდე, ვისწავლე და ხელი მოვკიდე კალამს, რომელ გარემოშიც ფული საბიზღრად დიდ როლს თამაშობს.

* * *

ბავშვოგაში რელიგიური განათლება მივიღე და რელიგიურადვე აღვიზარდე, რასაც თან ახლდა საეკლესიო გალობა, ეკლესიაში სამოციქულოსა და კაფიზმის კითხვა, აგრეთვე უნდა დავსწრებოდი ცისკრის ლოცვას, მევალებოდა საკურთხეველში შეწევნაც და სამრეკლოზე ზარის რეკვაც. მერე რა? მერე რა და, როცა ახლა ჩემს ბავშვობას ვიგონებ, საკმაოდ შავგნელად მესახება: ამჟამად რელიგიასთან გაყრილი ვარ.

* * *

მიყვარს საეკლესიო ზარის რეკვის ხმა. ეს არის, რაც რელიგიისგან შემომრჩა – არ შემიძლია ზარის რეკვის გულგრილად სმენა.

* * *

ჩემი სახლ-კარი ზედ კაშირის შარაგზის პირზეა და სუყოველ ამვლელ-ჩამვლელ ინტელიგენტს აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია ჩემთან შემოვლა გასათბობად, ხან ღამის გასათევადაც კი.

* * *

გლეხკაცობასთან მშვიდობიანად ვცხოვრობ, არცროდის არცვინ არაფერს არა მპარავს, დედაბრები კი, სოფელში რომ გავივლი ხოლმე, მიღიმიან ან პირჯვარს ისახავენ. სუყველას, ბავშვების გარდა, თქვენობით ველაპარაკები, არცროდის არ ვუყვირი, მაგრამ მთავარი, რამაც ჩვენი ურთიერთობა მოაწესრიგა, მედიცინაა.

* * *

ჩემი ავადობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ოცი წლის მანძილზე მთელ ქალაქში მარტო ერთი ჭკუათამყოფელი მოვიძიე, და ისიც შეშლილია.

* * *

სანამ არცვინ არ მიყვარდა, მეც ძალიან კარგად ვიცოდი, რა არის სიყვარული.

* * *

ხსნა მხოლოდ შენსავე თავში უნდა ეძიო.

* * *

სახელოვნად გამოვლილი საუკუნე

უნივერსიტეტი – 100

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 100 წელი შეუსრულდა, სახელოვანი 100 წელი — ქართველი ერის უმაღლესი განათლების სამსახურში. იმთავითვე არ იყო ია-ვარდით მოფენილი ის გზა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1918 წლის 26 იანვრიდან აქამდე გამოიარა, მაგრამ მან გაუძლო ქარტეხილებს და კვლავ ინარჩუნებს ქვეყნის მთავარი უმაღლესი სასწავლებლის პოზიციას ისტორიული წარსულითა და თავისი სახელოვანი მეცნიერული მიღწევებით, პროგრესული აზრის მიმართ ევროპული მიდგომებით და ბევრი სხვა თვალსაჩინო პარამეტრით. ვულოცავ სახელოვან იუბილეს საქართველოს დედაუნივერსიტეტს.

„უნივერსიტეტი საუკუნეთა მიჯნაზე“ — ასე ჰქვია ახლახან გამოცემულ წიგნს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, რომლის ავტორები არიან უნივერსიტეტის ერთგული და ღვაწლმოსილი პროფესორები ემილ კოპალიანი, პარმენ მარგველაშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ანზორ ხელაშვილი და თეიმურაზ ხუროძე. წიგნში აღწერილია უნივერსიტეტის ცხოვრების ერთ-ერთი რთული და მშფოთვარე პერიოდი, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარე საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, თითქმის მეოთხედი საუკუნე. ავტორები თავიანთი ხანგრძლივი მოღვაწეობისას საუნივერსიტეტო მართვაში უშუალო მომსწრენი არიან იმ ექსტრაორდინარული პროცესებისა, რომლებიც განვითარდა აღწერილ პერიოდში, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და განათლების სისტემაში რეფორმის განხორციელების შესაბამის ეტაპზე. წიგნში პირუთვნელად და მთელი სიზუსტითაა გადმოცემული განსახილველი პერიოდის პოლიტიკური პროცესების ზეგავლენა და ურთიერთობა უნივერსიტეტის მმართველობასთან.

„სახელოვნად გამოიარა საუკუნე უნივერსიტეტმა“ — წინათქმაში მკითხველი შეხვდება ამ საოცრად დამაფიქრებელ და მრავლისმეტყველ ფრაზას. შემდეგ მკითხველის წინაშე იშლება ფართო სპექტრი ობიექტური თვალით დანახული და სათანადოდ აღქმული იმ რეალური პროცესებისა, რაც მოხდა განხილულ დროში. ეს ის პერიოდია, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტონომია, როდესაც უნივერსიტეტმა ხანგრძლივი დროის შემდეგ დამოუკიდებლად, დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით აირჩია თავისი რექტორი როინ მეტრეველი პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდგომ. სწორედ ამ პერიოდში უნივერსიტეტმა დაიწყო მნიშვნელოვანი პროგრამული გარდაქმნები, ერთსაფეხურიანი სწავლებიდან სამსაფეხურიან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტრუქტურაზე თანდათანობითი გადასვლა, შეიქმნა საუნივერსიტეტო მმართველობის ახალი ერთეულები, შეიცვალა დაფინანსების წყაროები და, შესაბამისად, ბიუჯეტირება და ა.შ. ჩატარდა არაერთი საქმიანი ფორუმი მეთოდური ასპექტით. უნივერსიტეტმა, როგორც ავტონომიურმა უმაღლესმა სასწავლებელმა, გადადგა პირველი წარმატებული ნაბიჯები ევროპული განათლების მიმართულებით.



წიგნი — „უნივერსიტეტი საუკუნეთა მიჯნაზე“ მკითხველს, ასევე, გულწრფელად სთავაზობს იმ ობიექტური ვითარების აღწერას, რომელიც შეიქმნა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, როდესაც დაირღვა უნივერსიტეტის დემოკრატიული განვითარების პრინციპები და კვლავ აღზევდა ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მორგებული ეგზოგენური მმართველობის ტენდენციები. ამ გამოცემის გაცნობით საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებული მკითხველი მიიღებს უტყუარ ინფორმაციას საქართველოს დედაუნივერსიტეტის საუკუნოვანი ისტორიის განვითარების ტრენდისა და თვალსაჩინო ღირებულებების შესახებ 100-წლიანი არსებობის ბოლო მეოთხედის განმავლობაში. წიგნი დაწერილია გამართული ქართული ენით, განხილულია უტყუარი ისტორიული მასალა და ფაქტები, მომხიბვლელია ინტერპრეტაციის მეცნიერული მიდგომა, გზები და საშუალებანი. წიგნი საინტერესოდ და ვრცლადაა ილუსტრირებული.

ასე რომ, „უნივერსიტეტი საუკუნეთა მიჯნაზე“ — მაღალფასეული შენამატია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული წარსულიდან ახლახან გარდასულ დღეთა შეცნობისათვის. ეს წიგნი ავტორთა მეცნიერული წერის მანერის, შესწავლილი პერიოდის ისტორიული ფაქტებისა და წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალის ანალიზით ნამდვილად შეასრულებს მემატიანის როლს საქართველოს და, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში.

ჯემალ სოლოლაშვილი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
22. 06. 2018



„ამ მიწის მადლით მიდუღე სისხლი“

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ ახალი ლაურეატები

***22 დეკემბერს** უკვე მერვედ ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.*

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ***ლია დაუშვილმა*** *ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა პოეტი* ***თემურ ჩალაბაშვილი.***

ფესტივალის ჟიურიმ: ***ზაალ ბოტკოველი*** *(თავმჯდომარე),* ***მამა ილია ჩიკვაიძე, ბადრი სულაძე, გივი ჩიღვინაძე*** *ფესტივალის მთავარი პრიზი „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა:* ***ედუარდ უგულავას და ელდარ ჭიჭიაშვილს.***

ფესტივალის პრიზი „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ: ***კახა სულუაშვილს და ნინო დარბაისელს.***

ფესტივალის პრიზით „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ: ***ზოია ვაშაკიძე, თინათინ სიყმაშვილი, ზვიად ნეფარიძე, მაკა გელაშვილი, ლალი მიქაია, მამუკა დემეტრაშვილი, მზია თვალაბეიშვილი, მარი თაბაგარი, ნინო ახალაშვილი, თიკა გელაშვილი, ქალთამზე (ანა) სურმანიძე, თენგო ხუციშვილი და ირაკლი ასლანიკაშვილი.***

ფესტივალის დიპლომები გადაეცათ: ***ბექა ზამთარაძეს, მაია დიაკონიძეს, ნინო ტარყაშვილს, ივეტა პავლიაშვილ-დოხნაძეს, იამზე არველაძეხეცურიანს და კესარია (დოდო) აბაშიძეს.***

აქვე გთავაზობთ ფესტივალის მთავარი პრიზით დაჯილდოებული ერთ-ერთი ავტორის ლექსს.

ვინ დააოკოს...

ვინ დააოკოს ძველთუძველესი,
უფლით ნაკურთხი სისხლის ჩქერალი,
ჯვარს რომ აცვეს და ცეცხლი აყარეს,
მაგრამ საწადელს მისწვდა ვერავინ!
სხვამ ვინ შეუთქვას თავი ზვარაკად,
უფლის გულამდე კიდევ ვინ ივლის,
შეეზიაროს გოლგოთის კალოს
დამყუჩებელი ყველა ტკივილის?!
მზარავს დაცემულ ხეთა გოდება,
სადღაც ითლება ძელი საჩემო,
აზვირთებული ბრბო მოქუხს ჩემკენ,
რომ ჯვარზე მაცვას და შემაჩვენოს!
სხვამ ცათა შინა დასცეს კარავი,
ტანთ აღიმოსოს კვართი უზადო,
მე მიწის ტკივილს გავუხსნა გული
და სისხლის ყივილს მსხვერპლი ვუმზადო!
ნუ იტყვი „მიყვარს“, თუკი ტკივილი
გულს არ გიკორტნის, როგორც მიმინო,
გამიხსენ გული, რომ გესალბუნო
და სიყვარული შემოგღიღინო!
მე ჩემმა ოფლმა მირწყულოს ძვლები,
გულზე სალეწად მიმზადოს ულო,
სხვამ ბაგე-პირი აიყირმიზოს,
ოქროს სამურვლით თმა დაიურვოს!
მე ეკალწნული მიმკეთ სარქმელად,
სისხლმა წალეკოს შუბლი სპეკალი,
გადამიმტვრიეთ ორივე მკლავი,
ზეციდან ზართა ჩამომრეკავი!
სხვამ სასახლეში მოირთხას ფეხი,
სული მიაგოს ვერცხლის გირაოდ,
მე ბეგერ ციხეს ვუსინჯო ფხა და
დანგრეულ ტაძრებს ველოლიავო!
ამ მიწის მადლით მიდუღე სისხლი,
გულზე მომკიდე სახნის-ერქვანი,
სანამ ზეციდან მოჩქეფს წყალობად
უფლის სამრეკლოს ზართა რეკვანი!
სანამ ამ მიწის ნახანძრალ ზურმუხტს
წმინდა ქალწულის ედემი ჰქვია,
სანამ მამულში ქვითინებს ვაზი
და დედის ცრემლზე ამოდის ია!

ელდარ ჭიჭიაშვილი

წავკისში მკვლელობის ფაქტზე სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წავკისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა.

როგორც ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, დაკავებულია 3 პირი.

„დაკავებულია 1991 წელს დაბადებული გ.ა. — დამამძიმებელ გარემოებაში 2 ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ასევე, 1972 წელს დაბადებული ნ.ა. — დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით. გარდა ამისა, დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ა.ყ., რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის შეუტყობინებლობა.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო

გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობაში ბრალდებულებმა 23 დეკემბერს დაბა წავკისში მომხდარი კონფლიქტის დროს ცივი იარაღის გამოყენებით, დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩაიდინეს 1990 წელს დაბადებული დ.ფ.-სა და 1993 წელს დაბადებული ლ.ფ.-ს მკვლელობა. ამავე კონფლიქტის დროს, დაიჭრა კიდევ ორი პირი - 1989 წელს დაბადებული ს.დ. და 1991 წელს დაბადებული რ.ზ., რომელთაც ამ დრომდე უტარდებათ შესაბამისი მკურნალობა.

22 დეკემბერს წავკისი-ტაბახმელას საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის შედეგად ავტომობილისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მხარეებმა მეორე დღეს შეხვედრა დაგეგმეს და ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციას არ შეატყობინეს. შეხვედრა საღამოს, დაახლოებით 20 სთ-ზე შედგა. მხარეებს შორის საუბარი ჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფაში, შემდეგ კი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. გარდა ამისა, გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულის შემსწრე 1 პირი — 1993 წელს დაბადებული ა.ყ. სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გადაკვეთას და თურქეთის მიმართულებით გაქცევას ერთ-ერთ ბრალდებულთან გ.ა.-სთან ერთად ცდილობდა, რა დროსაც ისინი პოლიციამ შეაჩერა და განყოფილებაში გადაიყვანა. ა.ყ.-ს გამოკითხვისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გაირკვა, რომ იგი მომხდარ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა, რაც სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

ურთიერთდაპირისპირება გაჩიანში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი ან მეტი პირის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1970 წელს დაბადებული ზ.ტ., პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე კი 1991 წელს დაბადებული ე.კ და 1995 წელს დაბადებული ა.მ. დააკავეს. ზ.ტ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, პოლიციისთვის წინააღმდეგობის ბრალდებით დაკავებულებს კი 4-დან 7 წლამდე ვადით სასჯელი ემუქრებათ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 24 დეკემბერს, სოფელ გაჩიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთდაპირისპირებისას, ზ.მ.-მ ნაგანის სისტემის პისტოლეტიდან 3 პირი დაჭრა. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მისულმა სამართალდამცველებმა ზ.ტ. განაიარაღეს და დაპირისპირებულთა გაშველება დაიწყეს, რა დროსაც შეკრებილმა მოქალაქეებმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

გალის მცხოვრებნი სამინისტროსგან ბინებს ვერ მიიღებენ

ის დევნილები, რომელთა ფაქტობრივ მისამართზე ცხოვრება ვერ მოწმდება, სამინისტროსგან ბინას ვერ მიიღებენ. ამის შესახებ დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი მურად აბლოთია აცხადებს.

აღსანიშნავია, რომ ეს, პირველ რიგში, გალელებს შეეხებათ. „არის ათიათასობით ოჯახი, რომელიც რიგში დგას, აქედან ძალიან ბევრი ავარიულ ფართში ცხოვრობს. შესაბამისად, ამ კატეგორიაში გალში მცხოვრები დევნილები ვერ მოხვდებიან“, უთხრა აბლოთიამ DFWatch-ს.

მისი თქმით, საცხოვრებელი ფართის განაწილებისას პრიორიტეტია ავარიულ ობიექტებში ფაქტობრივი ცხოვრება.

„ზუგდიდში განსაკუთრებით დიდია მათი რაოდენობა, ვინაიდან 1998 წელს ძირითადი კონტინგენტი, რომელიც აფხაზეთიდან გადმოვიდა, დროებით სხვადასხვა დაწესებულებაში სწორედ ზუგდიდში შესახლდა. შემდეგ ბევრი ისევ გადავიდა გალში, ამიტომ არის ზუგდიდში, მაგალითად, ობიექტი, სადაც პირობითად შეიძლება იყოს 10 ოთახი და რეგისტრირებული იყოს 25. ბუნებრივია, რომ არ ცხოვრობს ამდენი ოჯახი. ამოსავალი წერტილია ფაქტობრივი ცხოვრება ავარიულ ობიექტებში“, უთხრა აბლოთიამ DFWatch-ს.

„ჩვენ ავარიულ ობიექტებს იმიტომ ვხურავთ, რომ ამ ობიექტებში ფაქტობრივად მცხოვრები ადამიანები არ დაზიანდნენ, საფრთხე არ შეექმნას მათ სიცოცხლეს. შესაბამისად, ისინი ყოველგვარი ქულების გარეშე გავიყვანეთ დაკავებული ფართებიდან.

„ვინც იქ ფაქტობრივად არ ცხოვრობს, ბუნებრივია, ამ კატეგორიაში ვერ მოხვდება. ერთ დროს ვიღაც სადღაც რომ იყო რეგისტრირებული, ის ახლა ამის გამო ბინას ვერ მიიღებს,“ — ამბობს დევნილთა დეპარტამენტის უფროსი.

რაც შეეხება კერძო სექტორში მიწერილ, ან ფაქტობრივად მცხოვრებ ადამიანებს, მისი თქმით, დევნილი ოჯახების ბინებით დაკმაყოფილების პროცედურა მოიცავს შემდეგს: **პირველი — განაცხადის შევსება, მეორე — შეფასება, მესამე — მონიტორინგი, მეოთხე — საკომისიო განხილვა.**

„შევსება და შეფასება ამ ოჯახებთან შეიძლება განხორციელდეს, როცა ინდივიდუალურად მოვა ვიღაცა, განაცხადს შეავსებს. შეფასება ხდება ელექტრონულად, მერე კი მონიტორინგი მიდის. თუ მონიტორინგს ფიზიკურად არ დახვდება ადამიანი, მან შეუძლებელია ბინა მიიღოს, რადგან ბინის განაწილების პროცესში ერთი კომპონენტი იქნება ამოვარდნილი. ამის გარეშე კომისიას უფლება არ აქვს, საკითხი განიხილოს.

„თუ ფაქტობრივი საცხოვრებელი ექნება გალში, ბუნებრივია, გალში ვერ გადავალთ, იქ ვერ ვნახავთ, ვერ შევამოწმებთ, ამიტომ (ეს კონტინგენტი) თავისთავად ამოვარდება. ის, ვინც გალში ცხოვრობს, თავის სახლში, ისინი ბუნებრივია ამ პროგრამაში ასე ვერ მოხვდებიან, თუმცა ძალიან ბევრი, ვინც თუნდაც სეზონურად გადადის გალში, ასეთი ყველა ხვდება. ჩვენ ბინას ვაძლევთ იმ ადამიანებს, ვისაც ამის საჭიროება აქვს, თუ ადამიანი აქ არ ცხოვრობს, ბინის საჭიროება აქვს თუ არა, როგორ უნდა დავადგინოთ?!“ — ამბობს მურად აბლოთია.

DFWatch-ი დაინტერესდა, რა ბედი ელის იმ დევნილებს, რომლებიც გალში გაჩერებას ვერ ახერხებენ და იძულებულები ხდებიან, დატოვონ ტერიტორია. აბლოთიას თქმით, ისინიც სხვა დევნილების მსგავსად ავსებენ განაცხადს და დგებიან ბინის რიგში, იმ განსხვავებით, რომ სამინისტრო იღებს მათზე გარკვეული დროით მეურვეობის პასუხისმგებლობას.

„თუ ვერ ჩერდება გალში, როგორც სხვა ათასობით დევნილი, რომელიც გადმოსულია და ელოდება თავის რიგს, ზოგი ქირით ცხოვრობს, ზოგი ნათესავთან, ისე უნდა დაელოდოს. ახლა მე გალში ვცხოვრობ, აქედან მივიღებ ბინას და მერე გადმოვალ, არ არის სწორი და არც პროგრამის მიზნებში არ ჯდება.

„დევნილთა განსახლების გრძელვადიანი პროგრამა არ გულისხობს იმას, რომ ყველა დევნილმა აუცილებლად უნდა მიიღოს ბინა, მიუხედავად იმისა, ამის საჭიროება აქვს თუ არა. აქ საუბარია ადამიანებზე, რომლებსაც ამის საჭიროება აქვთ. რადგან ჩვენ დევნილი ვართ და მაქვს 10 ბინა და მაინც უნდა მომცეს სამინისტრომ, არასწორია.

„თუ გადმოვა დევნილი ოჯახი, უნდა შეავსოს განაცხადი, დადგეს რიგში და მიიღებს ბინას. რიგში დგომის პროცესში სოციალურად დაუცველ ოჯახებს ქირით უზრუნველყოფთ. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს აქვთ დროებითი თავშესაფრები, სადაც ეს ოჯახები მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციით შეიძლება გაჩერდნენ. მერე სოციალურად დაუცველის სტატუსი ენიჭებათ, იმიტომ რომ, ბუნებრივია, არ ექნებათ შემოსავალი. სტატუსის მინიჭებისთანავე ჯდება ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში, დგება ბინის რიგში და იღებს ბინას, ისევე როგორც სხვა დანარჩენი. უზრუნველვყოფთ ბავშვების სკოლაში გაშვებას, თუ სკოლის მოსწავლე ჰ ყავს და დასაქმებაშიც თუ შესაძლებელია, ვეხმარებით“, — ამბობს დეპარტამენტის უფროსი.

DFWATCH

აფხაზი ახალგაზრდები რუსეთისა და საქართველოს შესახებ

***აფხაზეთის** საზოგადოება ძალიან პოლარიზებულია. როგორ მართო ქვეყანა და რა გააკეთო მის ასაღორძინებლად, აქ თითქოს ნებისმიერმა იცის. გამონაკლისი არც ახალგაზრდები არიან. განსაკუთრებით მწვავედ საგარეო პოლიტიკის პრობლემებს განიხილავენ. ურთიერთობები რუსეთთან და საქართველოსთან დღის წესრიგში რჩება და მოქალაქეთა თითქმის ყველა მცირე ჯგუფის განხილვის თემაა. რას ფიქრობენ დღეს აფხაზეთში საქართველოსთან და რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ამ თემაზე სოხუმში მცხოვრები ახალგაზრდები გამოვკითხეთ:*

ძრისტინე ძაძამია, 25 წლის, ფსიქოლოგი, სამი წელია ძალოვან სტრუქტურაში მუშაობს. ამბობს, რომ საქართველოზე მეტად აფხაზეთს პერსპექტივა რუსეთის ფედერაციასთან აქვს: „რუსეთი ჩვენი პარტნიორია, ის ჩვენი უსაფრთხოების გარანტია. ვფიქრობ, ჯერჯერობით, საქართველოსგან კარგს არაფერს უნდა ელოდე. არ არსებობს სამშვიდობო შეთანხმება, ანუ ისევ ომის დაწყების რეჟიმში ვიმყოფებით. სანამ ეს ხელშეკრულება არ გაფორმდება, საქართველოსთან ჩვენი ურთიერთოების წინსვლა წარმოუდგენელია“.

ნადეჟდა ტერზიანი, ჟურნალისტი, ამბობს, რომ ვერაფრით წარმოუდგენია, ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობები გაყინული წერტილიდან დაიძრას: „ძალიან ბევრი სისხლია დაღვრილი ჩვენს ხალხებს შორის და ურთიერთობის ეს მრავალწლიანი არარსებობა კიდევ უფრო გვაშორებს კულტურულ ჭრილშიც. მე არ მესმის ქართული, არ ვიცი მათი ჩვეულები და თვისებები. შესაბამისად, პოლიტიკური სიტუაცია რომც შეიცვალოს, ამ მენტალური ბარიერისგან თავის დაღწევა რთული იქნება.

ამასობაში, ხდება სისტემური დაახლოება რუსეთთან. სულ უფრო მეტი რუსი ჩამოდის ჩვენთან დასასვენებლად და მუდმივად საცხოვრებლად. ჩვენ ხშირად ვმონაწილეობთ რუსეთში გამართულ გარკვეულ ფესტივალებსა თუ სპორტულ ღონისძიებებში, ძირითადად, იმ მიზეზით, რომ სხვა ქვეყნებში არ გვიშვებენ, ისევ და ისევ ქართველების მცდელობების გამო. იქნებ, ოდესმე, ასე 50 წლის შემდეგ, როდესაც საერთო მსოფლიო სიტუაცია შეიცვლება, ქართველები ისევ გახდებიან ჩვენი ძმები, თუმცა, დარწმუნებული ვარ, უახლოეს დროში ეს არ მოხდება“.

ვიქტორ როგანოვი, სისტემური ადმინისტრატორი, ფიქრობს, რომ ნებისმიერ პატარა ქვეყანას, გადასარჩენად საკუთარი მეზობლებისგან მაქსიმუმის „გამოწურვა“ სჭირდება, ამასთან, საკუთარი ინტერესების დაცვა, სიამაყე და ნაკლები ილუზიები მეზობლებთან ურთიერთობაში, როგორი კეთილებიც არ უნდა ეჩვენებოდნენ მას ისინი: „ჩვენთვის აუცილებელია ლავირება ისე, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ერთსაც აწყობდეს და მეორესაც. ნებისმიერ მეზობელთან დაახლოება ჩვენთვის მომაკვდინებელია. კარგია, რომ ბოლო წელს რუსეთი ფინანსურად ისე აღარ გვეხმარება, როგორც ადრე და დამოუკიდებლად ცხოვრებას ვსწავლობთ. რაც შეეხება საქართველოს, მისი პერსპექტივები ძალიან ბუნდოვანია. თან ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვსაუბრობთ და სხვადასხვა რეალობაში ვცხოვრობთ“.

მარია კაცუბა, სასტუმრო ბიზნესის სფეროს სპეციალისტი, დარწმუნებულია, რომ აფხაზეთი უახლოეს მომავალში მხოლოდ დასავლეთისკენ უნდა ისწრაფოდეს. თუმცა, აქვე ამბობს: „თუ საქართველო ჩვენთან მიმართებაში პოზიციას შეიცვლის, მაშინ რაღაც დიალოგზე საუბარი შესაძლებელი იქნება, თუმცა იქამდე, სანამ ის აფხაზეთთან სამშვიდობო შეთანხმებას ხელს არ მოაწერს, არ აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას, ამ ქვეყანასთან რა ურთიერთობებზეა საუბარი?! მითუმეტეს, იქ ჩვენზე არაფერი იციან, მითებს თხზავენ და სჯერათ ამ მითების. რუსეთმა კი ბევრი გააკეთა ჩვენთვის. ეს უნდა გვახსოვდეს და ვაფასებდეთ. პატარა ქვეყნისთვის დიდი სახელმწიფოს მზრუნველობის გარეშე რთულია. ასეთია ჩვენი ურთიერთობები და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“.

ნაინე ატუმავა, 19 წლის, სტუდენტი: „რუსეთი ჩვენი მეგობარია, საქართველო მტერი. თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთი მხარს გვიჭერს და ყველაფერში გვეხმარება, საქართველო კი ამ დრომდე ჩვენი ეთნოსის არსებობის ფაქტს არ აღიარებს. მე მაშინ დავიბადე, როდესაც საქართველო ჩვენ მიმართ უკვე მტრულად განწყობილი ქვეყანა იყო. მე არ გამიგია ქართული, და არც მაინტერესებს, ვინ არიან ეს ადამიანები“.

საიდ კუჯბა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ამბობს, რომ აფხაზეთისთვის ყველა შესაძლო სფეროში რუსეთთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო: „საქართველო ამ დრომდე აგრესიულ პოლიტიკას ატარებს, ევროპაში აფხაზეთის მცხოვრებთა გასვლას ზღუდავს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გვძულდნენ. რუსეთი კი არა მხოლოდ ფინანსურად გვეხმარება, გასათვალისწინებელია ტურისტული ნაკადიც. ჩვენთან ხომ დასასვენებლად ძირითადად რუსეთიდან ჩამოდიან. ჩვენც მუდმივად ჩავდივართ იქ, ვმუშაობთ და ვერთობით. სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს. რუსეთი რომ არ ყოფილიყო, დაკონსერვებული ვიქნებოდით“.

მადინე ატუმავა, სოხუმი, ის ნაკლებად კატეგორიულია მეზობლებთან ურთიერთობების პერსპექტივებზე საუბრისას: „ადრე თუ გვიან ჩვენ ისევ გვექნება საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობა, ეს გარდაუვალია. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს და ძალიან ახლობელი ვართ ერთმანეთისთვის. ჩვენი ოჯახები გადაჯაჭვულია ერთმანეთს. ჩვენ შორის ბევრის ნათესავი ენგურს გაღმა ცხოვრობს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ნორმალურად ურთიერთობა იმის გამო, რომ საქართველოში პოლიტიკოსებმა შევარდნაძის ხაზის გაგრძელება გადაწყვიტეს. უკვე მოვიდა დრო იმის აღიარების, რომ აფხაზეთი არსებობს და აფხაზები არსებობენ, რომლებიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, მოვიდა დრო, ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარონ და კეთილმეზობლური ურთიერთობები გვქონდეს“.

მანუელა შანავა, საქმიანობიდან გამომდინარე მას სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანთან უწევს ურთიერთობა, მათ შორის კავშირები აქვს საქართველოსთან, თუმცა, არალეგალური: „ეს ცუდია, ჩვენ არ შეგვიძლია ღია ურთიერთობა იმიტომ, რომ ეს საშიშია და სასირცხვილო. თუმცა, ამაში თავად ქართველები არიან დამნაშავე. საკმარისია მოინდომონ და ჩვენ ისევ ღია გავხდებით ერთმანეთისთვის ძმები. უბრალოდ საჭიროა, გვაღიარონ. ერთია, ურთიერთობა ძმებს შორის და მეორე — პოლიტიკოსების გამოხდომები. ვინ იცის, რა მოუვა თავში საქართველოს ხელისუფლებას, რუსეთი კი, რამე რომ იყოს, დაგვიცავს“.

„ნეტგაზეთი“

გვაქვს ქართული ზეთისხილი

„ქართული ზეთისხილის“ კომპანიის პლანტაციები მედიის წარმომადგენლებმა მოინახულეს. ჟურნალისტებმა ზეთის ხილის კრეფაში მიიღეს მონაწილეობა და საწარმო პროცესი დაათვალიერეს.

კომპანიის დამფუძნებელმა გიორგი სვანიძემ მედიის წარმომადგენლებს ზეთისხილის თვისებებისა და კომპანიის გაფართოების პერსპექტივების შესახებ ესაუბრა. ქართულ ზეთისხილსა და ზეითუნის ზეთის მიმართ საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნა იზრდება. შესაბამისად, „ქართული ზეთისხილის“ კომპანია გაფართოებას და დამატებით 1000 ჰექტარზე პლანტაციების გაშენებას გეგმავს.

„რეგიონისთვის ზეთისხილის პლანტაციების გაფართოება დამატებით დასაქმების წყარო გახდება და განვითარების სტიმულს გააჩენს. ზეითუნის ზეთის წარმოების ზრდა 800-დან 1000 სამუშაო ადგილს შექმნის, გაიზრდება საქართველოს საექსპორტო პოტენციალი, და რაც ყველაზე მთავარია, საქართველო მსოფლიო რუკაზე ზეთისხილის მწარმოებელ ქვეყნად მოინიშნება. ქართული ზეთისხილი მაღალი ხარისხისა და დაბალი მჟავიანობის გამო, საექსპორტო ბაზრებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველია“, – განაცხადა მედიასთან გიორგი სვანიძემ. შეგახსენებთ, რომ ჩინეთში „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანი ვიზიტის ფარგლებში, ქართული ზეთისხილის ექსპორტთან დაკავშირებით, ოფიციალური შეთანხმება ჩინეთის უმსხვილეს საინვესტიციო კომპანიასთან შედგა. ძიანგსის პროვინციის საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე, რომელშიც „საპარტნიორო ფონდის“ მხარდაჭეროთ ქართველი მეწარმეები იღებდნენ მონაწილეობას ქართული ნატურალური პროდუქტების მიმართ ჩინეთის იმპორტიორი კომპანიების მხრიდან დიდი ინტერესი გაჩნდა. მათ შირის ქართულ ზეთუნის ზეთზე.

„ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონისთვის ზეთისხილის კულტურის განვითარება. ჩნდება დამატებითი შემოსავლები, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ადგილობრივების ცხოვრების დონეზე. კახეთის რეგიონის კლიმატურ პირობებში საუკეთესო ხარისხის ზეთისხილის მოყვანაა შესაძლებელი, შესაბამისად ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების მოთხოვნის დაკმაყიფილება უნდა შეგვეძლოს“, – განაცხადა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ.

რა თანხა შევიდა ბიუჯეტში
სახელმწიფო მიწების გასხვისებიდან

ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ნოემბრის შესრულების ანგარიში გამოაქვეყნა.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა სულ 10 678 637.7 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან, როგორც ანგარიშგებაშია აღნიშნული, მიმდინარე წლის 11 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 9 499 191.8 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მოცულობის (10 314 248.0 ათასი ლარი) 92.1% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა 17 378.7 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მოცულობის (4 500.0 ათასი ლარი) 386.2% შეადგინა. მათ შორის, მიწის გაყიდვიდან ფაქტიურად მიღებული იქნა 6 610.3 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მოცულობის (3 000.0 ათასი ლარი) 220.3%-ია.

„იანვარ-ნოემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ 90 066.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (60 000.0 ათასი ლარი) 150.1% შეადგინა. მათ შორის: შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (72 677.6 ათასი ლარი) წლიური საპროგნოზო მოცულობის (55 500.0 ათასი ლარი) 131%; ხოლო მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 10.2 ათასი ლარი შეადგინა“, – აღნიშნულია ანგარიშგებაში.

რას ყიდის და ყიდულობს საქართველო

2018 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 11.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 18.6 პროცენტით აღემატება.

საქსტატის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში 24%-ით გაიზარდა ექსპორტი და 3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო იმპორტი 16.8%-ით გაიზარდა და 8.3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ყველაზე დიდი რაოდენობით, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს ყიდის; მას მოსდევს მსუბუქი ავტომობილები; მე-3 ადგილზე კი ფეროშენადნობებია; ხოლო მე-4 და მე-5 პოზიციებს ყურძნის ნატურალური ღვინოები და სიგარები, სიგარილები და სიგარეტები ინაწილებენ.

რაც შეეხება, ტოპ-5 საიმპორტო პროდუქტს, ყველაზე დიდი რაოდენობით ვყიდულობთ, ნავთობს და ნავთობპროდუქტებს; მე-2 ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები, ხოლო მესამეზე – სპილენძის მადნები და კონცენტრატები; მე-4 და მე-5 პოზიციებს კი დაფასოებული მედიკამენტები და ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები იკავებს.

„ნუ მოჭრი – მორთე!!!“

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეზოში, კამპანია „ნუ მოჭრი – მორთეს“ ფარგლებში ნაძვის ხე მოირთო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა სამინისტროს თანამშრომლებს და მათ შვილებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და კამპანიის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მადლობა გადაუხადა კამპანიაში ჩართულ თითოეულ მონაწილეს. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის მნიშვნელობაზე. ღონისძიების ფარგლებში ბავშვებისთვის სამინისტროს მიერ შექმნილი მულტფილმის „ბოცო და გვანცას“ ჩვენება გაიმართა, რითიც პატარები გარემოში ბიომრავალფეროვნების წარმომადგენლების მნიშვნელობას გაეცნენ.

„ეპიდემიამდე არ ვართ“

H1N1 ვირუსით საქართველოში ორი ადამიანი გარდაიცვალა. კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელის პაატა იმნაძის განცხადებით, მიუხედავად მიმართვიანობი მაღალი რისკისა, ქვეყანა ეპიდემიამდე მისული არ არის: „დღეს ვისაც გრიპი აქვს, ეს არის H1N1 ვირუსი აბსოლუტურ უმრავლესობაში, ცოტა, მაგრამ არის H3N2 გრიპის ვირუსი, თუმცა არ გამქრალა სხვა ვირუსებიც, ისინი ცირკულირებენ. ძირითადად ყველა არის ავად ამ ვირუსით. ამჟამად გვაქვს 221 მიმართვიანობა 100 000 მოქალაქეზე. ეპიდემიური ზღვარი არის 450-500 შემთხვევა 100 ათას მოსახლეზე საქართველოს შემთხვევაში. ეპიდემიამდე არ ვართ, მაგრამ ეს არავის შელავათს არ აძლევს, ვინც უკვე ავად არის. ბევრმა უკვე გადაიტანა, ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს კლინიკურად, ჩემი ოჯახის წევრებს ჰქონდათ. ეს არის იგივე რაოდენობის მიმართვიანობა, რაც გვქონდა 2 წლის წინაც. დაახლოებით 2-ჯერ მეტია, ვიდრე იყო შარშან. გარდაცვალების ერთი შემთხვევა უკვე აღრიცხულია, მაგრამ ამავე დროს ათასობით ადამიანმა უკვე გადაიტანა ეს ვირუსი დიდი პრობლემების გარეშე“, – განაცხადა იმნაძემ.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „სამშენებლო კომპანია სპექტრის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „სამშენებლო კომპანია სპექტრი“ (ს/ნ 418467386), ქ. გორი, ქუთაისის 57.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. გორი, მოსკოვის ქ. №1 (საკადასტრო კოდი: 66.45.27.099https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48803.33 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის თანხა შეადგენს 7444.57 ლარს);

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 26 დეკემბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 11 იანვარი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP57473118;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 574731

6. **მოვალე:** თამარ ტვილდიანი (პ/ნ 01024005760), თბილისი, გ. ქიქოძის 13.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP57473118; ლოტის ნომერი: 574731).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 11 იანვრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ ჩვენი იმედი

მართლაც - უკონკურენტოდ!

WORLDSPORT.GE-ს მკითხველთა ვერსიით, 2018 წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძეა! 19 წლის შემტევმა აღნიშნული ვებ-გვერდის მომხმარებლისგან ყველაზე მეტი ხმა მიიღო და გამარჯვებულიც გახდა.

გამოკითხვა WORLDSPORT.GE-ს ვებ-გვერდზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა 962-მა ადამიანმა მიიღო. შედეგად, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 2018 წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძეა. მას ხმების 83.1% მისცეს.

მეორე ადგილზე სოლომონ კვირკველია გავიდა. მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ნაკრების მცველს 7.2% ერგო, ხოლო სამეული ჯაბა კანკავამ 6.5%-ით დაასრულა.

გიორგი ჩაკვეტაძის 2018 წლის მონაგრის მოკლე მიმოხილვა:

ჭაბუკი ფეხბურთელისთვის 2018 წელი დიდებული გამოდგა და, შესაძლოა, მის კარიერაში გარდამტეხიც. „გენტის“ ძირითად შემადგენლობაში არათუ თავი დაიმკვიდრა, არამედ გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. იგივე ითქმის საქართველოს ნაკრებზეც.

ერთა ლიგაზე „ჯვაროსანთა“ წარმატებაში ყველაზე დიდი როლი სწორედ გიორგიმ ითამაშა: 6 შეხვედრაში 4 ბურთი გაიტანა და შედეგიანი პასიც ორჯერ შეასრულა. გარდა ამისა, ერთა ლიგის ისტორიაში პირველი გოლიც მის ანგარიშზეა.

ჩაკვეტაძემ თავი ეროვნული ნაკრების სადებიუტო მატჩშიც გამოიჩინა და ლიეტუვას ფანტასტიკური ბურთი გაუტანა, მთლიანობაში კი 7 მატჩში 5 გოლი გაიტანა საქართველოს ნაკრებში!

და „გენტი“? – ბელგიურ გუნდში გიორგი ლიდერია. შედეგად, გასაკვირი არაა, რომ მის მომავალს ევროპულ გრანდებს უკავშირებენ. როგორც ამბობენ, ანდორა – საქართველოს მატჩს „ბარსელონას“ სკაუტები მის გამო დაესწრნენ. „გენტის“ მაისურით 2018 წელს ჩაკვეტაძემ 44 მატჩი ჩაატარა და 6 ბურთი გაიტანა, თუმცა, საქმე მხოლოდ გოლებში არაა – ზუსტი პასებიც მრავლად არიგა და ეფექტური მომენტები კიდევ უფრო მეტი იყო.

ჩაკვეტაძისთვის 2018 წელი გამორჩეული რომ იყო, ისიც მოწმობს, რომ გამოკითხვაში „თქვენ ირჩევთ“ სარეკორდო მაჩვენებელს უწია და ოთხჯერ გაიმარჯვა, მათ შორის ზედიზედ სამჯერ – სექტემბრიდან.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

დებიუტიც ასეთი უნდა

19 წლის ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე მონტენეგროს „ბუდუჩნოსტში“ გადასვლის შემდეგ პირველივე მატჩში სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და საკმაოდ დამაჯერებლადაც ითამაშა, თუმცა, გუნდი წაგებისგან ვერ იხსნა.

ადრიატიკის ლიგის მოქმედი ჩემპიონი სლოვენიაში კრკასთან სათამაშოდ აშკარა ფავორიტის რანგში ჩავიდა, მაგრამ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩაატარა და 64:69 დამარცხდა.

ბითაძემ მოედანზე 25 წუთი გაატარა და 12 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 2 ორქულიანი, 2-ვე სამქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

„ბუდუჩნოსტს“ 8 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს, მომდევნო მატჩს კი 30 დეკემბერს სტუმრად ერთპიროვნულ ლიდერ „ცრვენა ზვეზდასთან“ გამართავს.

მანამდე კი, კერძოდ 28 დეკემბერს, ბითაძეს პოდგორიცელთა მაისურით ევროლიგაში დებიუტი ელის. პარასკევს „ბუდუჩნოსტი“ გერმანიაში მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიზმი

ჰორიზონტზეა იაპონია

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სეოკ-სა და იაპონიის იშიკავას პრეფექტურის ქალაქ შიკას მერიას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური და პარალიმპური თამაშებისთვის მოსამზადებელი საწვრთნელი ბანაკის ორგანიზების შესახებ.

მემორანდუმის თანახმად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ირჩევს ქალაქ შიკას, როგორც პრიორიტეტულ ლოკაციას მოჭიდავეთა წინასაოლიმპიადო მზადების ფარგლებში საწვრთნელი ბანაკის მოსაწყობად, ასევე, სეოკ-ი და შიკას მერია ითანამშრომლებენ სხვადასხვა მიმართულებით და განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** და ქალაქ შიკას მერმა **კოიზუმი მასარუმ**.

სეოკ-ის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა იაპონელ სტუმრებს საინტერესო შემოთავაზებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ შიკას მერიასთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქართველ სპორტსმენთა ნაყოფიერ მზადებას ტოკიოს ოლიმპიადისთვის.

კობა კობახიძე

◎ ფარიკაობა

ვეტერანებმა სიჭაბუკე გაიხსენეს

ოლიმპიური ჩემპიონის – ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში ორი დღის განმავლობაში მოზარდთა ჟრიამული და ომახიანი შეძახილები არ შეწყვეტილა: ისინი დედებს, მამებს, ბებიებსა და ბაბუებს ქომაგობდნენ – საფარიკაო ბილიკებზე ვეტერანი მუშკეტერები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვეტერანთა საბჭოსა და მის თავმჯდომარე ნიკოლოზ ანდრიაძის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა საინტერესო შეჯიბრებას (მთავარი მსაჯი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლუდვიგ ღაღანიძე), რომელშიც 50-ზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ბევრი მათგანი დიდი ხანია აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და დღეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმატებით საქმიანობს. მაგალითად, არქიტექტორი ზურაბ ბოკუჩავა შპს „არდუს“ ხელმძღვანელობს, შალვა კოკოჩაშვილი საქართველოს მუნიციპალური განვითარების პროექტის მენეჯერია, ალექსანდრე ჩიტიშვილი „ენერგოპროჯორჯიაში“ ინჟინრად მუშაობს, ალექსანდრე ზახაშვილი შპს „ქართული ნაციონალური პროდუქტებისა“ და ტურისტული კომპანიის დირექტორია. თავად ამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ნიკოლოზ ანდრიაძე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ. 1963 წელს იგი ახალგაზრდებში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგაც არ დაუნებებია თავი ფარიკაობისთვის. 15 წელიწადზე მეტია, რეგულარულად მონაწილეობს ვეტერანთა მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში.

– კარგია, რომ ჩვენს წამოწყებას ამდენი ადამიანი გამოეხმაურა, – გვითხრა ბატონმა ნიკოლოზმა. – ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატები 1997 წლიდან ეწყობა და სხვადასხვა ქვეყნის უამრავ წარმომადგენელს უყრის თავს. ეს ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად შესანიშნავი საშუალებაა. ყოფილი სპორტსმენები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად მთელი წლის განმავლობაში ემზადებიან და მუდამ კონდიციებში არიან. გაისად მაისის დასაწყისში ვეტერანთა შორის კიდევ ერთ შეჯიბრებას ჩავატარებთ – საქართველოს თასი გათამაშდება. იმ ტურნირის შედეგების მიხედვით სამივე დისციპლინაში დავაკომპლექტებთ ჩვენი ქვეყნის ვეტერანთა ნაკრებ გუნდებს, რომლებიც მაისის მიწურულს ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. ამ შეჯიბრებას საფრანგეთის ქალაქი კონიაკი უმასპინძლებს. ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატი ეგვიპტეში გაიმართება. ვეცდებით, ორივე ტურნირში ღირსეულად ვიასპარეზოთ.

რაპირაში 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა იური ოსიპოვმა ნიკოლოზ ანდრიაძე, როგორც ვეტერანთა პირველობის ერთ-ერთი ინიციატორი, სიმბოლური

პრიზით – მინიატურული დაშნით დააჯილდოვა.

– ნიკოლოზ ანდრიაძე წლებს არ ნებდება – ახალგაზრდებს კარგ მაგალითსა და სტიმულს აძლევს, – გვითხრა იური ოსიპოვმა. – ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატში მან პირველად 2002 წელს იასპარეზა. მას შემდეგ რეგულარულად მონაწილეობს მსგავს შეჯიბრებებში. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორია, 2014 და 2018 წლებში პროფესიონალ ექიმთა შორის ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი. წლების სიმძიმის მიუხედავად, დღესაც აქტიური მუშკეტერია...

რას შეეხება ვეტერან მოფარიკავეთა პირველ, ასე ვთქვათ, საახალწლოდ გამართულ საქართველოს პირველობას, განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა დაშნით მოფარიკავე ქალთა პაექრობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დები – ხათუნა და თამარ ჭუმბურიძეები, რომლებიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები არიან. ხათუნა, ასევე, საერთაშორისო პირველობებისა და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობის გამარჯვებულია, ამჟამად საერთაშორისო კატეგორიის არბიტრიცაა და ხშირად იწვევენ სხვადასხვა დონის ტურნირებში სამსაჯოდ. ამდენად, საქართველოს პირველობისთვის უფრო მომზადებული აღმოჩნდა და გაიმარჯვა კიდეც. საგულისხმოა, რომ 1996 წელს იგი ჩვენი გაზეთის – „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის განყოფილების კორესპონდენტი გახლდათ.

ახლა კი ვეტერანთა პირველი შეჯიბრების გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

დაშნა

ქალები: 1. ხათუნაჭუმბურიძე, 2. თამარ ჭუმბურიძე, 3. სოფიო დიდია, ნანა ვარდანაშვილი; **კაცები:** 1. ალექსანდრე ზახაშვილი, 2. გიორგი კოკოჩაშვილი, 3. ზურაბ ბოკუჩავა, მალხაზ კვაჭაძე.

რაპირა

ქალები: 1. რუსუდან ჟვანია, 2. ქეთევან ერემეიშვილი, 3. ეკა ღუნაშვილი, ხათუნა მამუკაშვილი; **კაცები:** 1. ირაკლი გობეჯიშვილი, 2. ვიტალი გრიგოლია, 3. ნიკოლოზ ანდრიაძე, მერაბ კარტოზია.

ხმალი

კაცები: 1. ლევან იოსებიძე, 2. ალეკო ჩიტიშვილი, 3. გელა ჩიხრაძე, თემურ ბოჭორიშვილი.

ლექსო ცინცაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო

ხსოვნა

ანატოლი ოკლეი

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ანატოლი ოკლეი.**

ანატოლი ოკლეი დაიბადა 1946 წელს, ქ. თბილისში. 1964 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, 1969 წელს — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი შავი ლითონების მეტალურგიის სპეციალობით და იმავე წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში კომპლექსური განმჟანგველებისა და მოდიფიკატორების ლაბორატორიაში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ეძღვნებოდა კარბოთერმული აღდგენის პროცესების თერმოდინამიკურ ანალიზს, ფეროშენადნობების წარმოებაში გამოსაყენებლად დაბალხარისხოვანი ნედლეულის, ნარჩენებისა და მეორადი მასალების თვისობრივი მახასიათებლების კვლევას, განჟანგვისა და მოდიფიცირების პროცესების შესწავლას, ნანოკომპოზიტების მიღებისა და ლითონების მოდიფიცირებისათვის გამოყენების პროცესების კვლევას.

იგი იყო 70-მდე სამეცნიერო შრომის, 25 გამოგონებისა და 2 პატენტის ავტორი, 11 საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი. 1983-86 წლებში სსრკ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის მივლინებით მუშაობდა საზღვარგარეთ სამეცნიერო კონსულტანტად.

ანატოლი ოკლეი იყო შესანიშნავი პიროვნება, გულითადი მეგობარი, კარგი მეოჯახე და მამა. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა
და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი**

მარინე ჭანტურია, შალვა, გიორგი, დავით ნაჭყებიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი და უახლოესი ადამიანის

ნინო სესიტაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სს ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ანესთეზია-რეანიმაციის განყოფილების ექიმი, საქართველოს სამედიცინო საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი

ნინო ბეჭანის ასული სესიტაშვილი.

წავიდა ჩვენგან მაღალი დონის პროფესიონალი ექიმი, საოცრად თბილი და ყურადღებიანი, კეთილშობილი ადამიანი, უზომოდ საყვარელი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი ჭეშმარიტი მეგობარი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული... ნინოს უდროოდ წასვლამ საოცრად ატკინა გული თავის თანამშრომლებს, მეგობრებს და ოჯახის წევრებს.

ქალბატონი ნინო იყო სისპეტაკით და კეთილშობილებით გამორჩეული საიმედო თანამშრომელი.

ნინოს ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და ახლობლების გულში.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

...ვეფხვებთან მეომარია

იტალიაში საქართველოს მოქალაქე ვეფხვმა დაგლიჯა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ქალაქ რევჯიო კალაბრიაში ქართველმა მამაკაცმა ჯერ ცირკის ტერიტორიაზე შეაღწია, შემდეგ ტანსაცმელი გაიხადა და ვეფხვის გალიაში შევიდა.

ცხოველმა მამაკაცს მძიმე დაზიანებები მიაყენა. მისი დახმარება ცირკის თანამშრომლებმა შეძლეს, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ხელის ამპუტაცია ჩაუტარდა.

ექიმების ინფორმაციით, დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. შემდგომ ამისა, მან სცადა საავადმყოფოდან გაპარვა, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანი დაჭრა. მიმდინარეობს გამოძიება.

ნუცუბიძის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე გვიან ღამით ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. მამაკაცს ჭრილობა მკლავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 117-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-ტარებას გულისხმობს.

სანთელი

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა ძირძველი კოლხი ოჯახისშვილი, სკოლის მეგობარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე

ირაკლი მოწერელია

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საზოგადოების სახელით:

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, გულთაზ ლაბარტყავა, ჯემალ კვირტია, ლია წურწუმია, იური ალანია, ბესლან ქორქია, რომან მელია, პეტრე ბერაია, ოთარ აბდუშელიშვილი, მურთაზ გვაზავა, გია სვანიძე, თენგიზ უჩანეიშვილი.

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ვილენ ალავიძე, ბონდო ჯიქია, გივი აბზიანიძე, გურამ გუნავა, მირზა ქორქაშვილი, რაულ ჯახია, ომარ კილასონია, პეტრე ბერაია, ვაჟა აბაკელია, ვალერი ჭანტურია, ალექსანდრე მოვსესიანი, თენგიზ უჩანეიშვილი, იგორ ქობალია, კლიმენტ ჯანჯღლავა, ოთარ ჭითანავა, ვაჟა თორდია, დემიკო ლოლაძე, ალექსანდრე კობაიძე, თემურ ხაზარაძე, ომარ კიკნაძე, ირაკლი ჯიქურაშვილი, ჯემალ მარგველიძე, დიმა კოტეტიშვილი, ნუგზარ ოდიშვილი, კოტე აბულაძე, გურამ ფიფია, ლერი ჭითანავა, თამაზ ქევხიშვილი, კახა არდია, ზურაბ გოგოხია, კოკი ბაქრაძე, მამუკა კვარაცხელია, გაიოზ ნოზაძე, ნოდარ ანდრიაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება

ირაკლი მოწერელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ალექსანდრე მოწერელიას მამის

ირაკლი მოწერელიას

გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია.

მეგობრის ხსოვნას

ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე **ირაკლი ალექსანდრეს ძე მოწერელია.**

იგი დაიბადა 1941 წელს ფოთში, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ალექსანდრე მოწერელიას ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ნიადაგმცოდნეობის და აგროქიმიის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალში მეცნიერ-მუშაკად, სადაც წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, ირაკლი მოწერელია ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. 1971 წელს აირჩიეს ფოთის ახალგაზრდობის თავკაცად — კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, საიდანაც როგორც უნარიან ხელმძღვანელს აწინაურებენ ჯერ ფოთის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი ირჩევენ იმავე საქალაქო კომიტეტის მდივნად.

1977 წელს ირაკლი მოწერელია გადაჰყავთ ცენტრალური კომიტეტის აპარატში პასუხისმგებელ მუშაკად, შემდეგ არჩეულ იქნა პარტიის გეგეჭკორის (მარტვილის) რაიკომის პირველ მდივნად, სადაც იმუშავა 1987 წლამდე. მისი ხელმძღვანელობით რაიონმა დიდ წარმატებებს მიაღწია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის საქმეში, რითაც მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

1993 წელს ირაკლი მოწერელია დაინიშნა ფოთის ვიცე-მერად, სადაც იმუშავა 2005 წლამდე და დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ყველგან, სადაც კი ი. მოწერელიას უმუშავია, გამოირჩეოდა როგორც უნარიანი, საქმის მცოდნე და გულისხმიერი ხელმძღვანელი, სარგებლობდა დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოსახლეობასა და თანამშრომელთა შორის.

წავიდა ჩვენგან საქმის მცოდნე, დიდი პროფესიონალი, რომელმაც ურთულეს პირობებში უმწიკვლოდ განვლო ცხოვრების გრძელი გზა.

ქართული ტევადი სიტყვა — გარდაცვალება, სრულად ესადაგება ისეთ გულანთებულ და პატრიოტ პიროვნებას, როგორიც იყო ჩვენი მეგობარი ირაკლი მოწერელია. იგი ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა დიდი სახელი და ნათელი კვალი, რომელიც სამარადისოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების მეხსიერებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, ამინ!

მეგობრების ჯგუფი

ვატიკანში რომის პაპმა საშობაო მესა აღავლინა

რომის პაპმა ფრანცისკემ მოუწოდა მრევლს, ნაკლებად იზრუნონ მატერიალური სიკეთის მოსაპოვებლად და მეტი დრო დაუთმონ ღარიბი ადამიანების დახმარებას. 82 წლის პაპმა ფრანცისკემ მრევლთან მიმართვისას აღნიშნა, რომ ყველამ უნდა მიჰბაძოს იესო ქრისტეს, რომელიც სიღარიბეში დაიბადა და მატერიალურ სიკეთეზე ზრუნვისას არ დაკარგონ ცხოვრების რეალური მნიშვნელობა.

საშობაო მესას წმინდა პეტრეს ბაზილიკაში დაახლოებით 10 000 მორწმუნე კათოლიკე ესწრებოდა.

„7 წლის ხარ და კიდევ გჯერა სანტასი?“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა საშობაოდ თეთრ სახლში ბავშვების ზარებს უპასუხეს.

რეპორტიორის კევინ დიაზის გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, რომ დონალდ ტრამპი ბავშვს, სახელად კოულმენს ეკითხება:

„გამარჯობა, ეს კოლმანია? შობას გილოცავ, როგორ ხარ? რამდენი წლის ხარ? სკოლაში კარგად სწავლობ? კიდევ გჯერა სანტასი? იმიტომ, რომ შვიდი წელი, ხომ იცი, ეს მერყევი ასაკია, არა?“

ევროპის ყველაზე მაღალი ვულკანი ამოიფრქვა

იტალიაში მდებარე, ევროპის ყველაზე მაღალი და მძლავრი ვულკანი ეტნა 24 დეკემბერს ამოიფრქვა. როიტერის ინფორმაციით, გამოფრქვეული კვამლის გამო სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული კატანიას აეროპორტი დაიხურა.

130 ჯაჭვური ბიძგის შემდეგ, ვულკანი გააქტიურდა. იტალიის გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ინსტიტუტის განცხადებით, ყველაზე მძლავრი ბიძგი 4.0 მაგნიტუდით განისაზღვრა. იტალიის პოლიციის ინფორმაციით, დაშავებულები არ არიან. ხმელთაშუა ზღვის კუნძლზე, 3300 მეტრის სიმაღლის ვულკანი წელს რამდენჯერმე ამოიფრქვა.

ავსტრალიაში 33-სართულიანი შენობა გაიბზარა



სიდნეიში, 33-სართულიანი Opal-ის ცათამბჯენში, მოსახლეობამ კედლების მსხვევის ხმა გაიგონა. ადგილობრივმა სამაშველო დანაყოფმა ახალაშენებული შენობიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან 3000 ადამიანის ევაკუაცია განახორციელა.

პოლიციამ დაადასტურა, რომ მე-10 სართულზე მართლაც გაჩნდა ბზარი. გარდა ამისა, ინჟინრებმა დაადასტურეს, რომ შენობა 2 მილიმეტრითაა გადახრილი. სიდნეის პოლიციის განცხადებით, მოსახლეობის ევაკუაცია დროული და რაციონალური იყო, რადგან არსებობს შენობის ჩამონგრევის რისკები.

Opal-ის საცხოვრებელი კომპლექსი ავსტრალიური დეველოპერული კომპანია Ecove-ის პრექტია. მასში განლაგებულია 392 აპარტამენტი. შენობა ექსპლუატაციაში 2018 წლის დასაწყისში შევიდა. კომპანიაში აცხადებენ, რომ ფაქტის შესახებ ინფორმირებულნი არიან.

სექსუალური ძალადობა მოზარდზე

მასაჩუსეტსის პროკურატურამ 24 დეკემბერს გაავრცელა შეტყობინება იმის შესახებ, რომ მსახიობ კევინ სპეისის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელიც 18 წლის პირის მიმართ სავარაუდო სექსუალურ ძალადობას ეხება და უხამს თავდასხმას და ფიზიკურ შეურაცხყოფას გულისხმობს.

პირველი სასამართლო მოსმენა, რომელიც ტექნიკური საკითხების განხილვას ეხებოდა, 20 დეკემბერს გაიმართა. 7 იანვარს კი კევინ სპეისს ბრალს ოფიციალურად წაუყენებენ.

ბრალდებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ რამდენიმე წუთში კევინ სპეისმ სოციალურ ქსელში ვიდეორგოლი გამოაქვეყნა 3-წუთიან ვიდეოში, რომლის სათაურიც იყო „ნება მომეცით ვიყო ფრენკი“, მსახიობი „ბანქოს სახლის“ პრეზიდენტის ფრენკ ანდერვუდის იმიჯით გამოჩნდა. ეს იყო მსახიობის პირველი საჯარო გამოსვლა მას შემდეგ, რაც 2017 წლის შემოდგომაზე ერთბაშად რამდენიმე ადამიანმა ის სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა.

რა გვარგებს და რა გვავნებს



ამერიკელი ფსიქოლოგი ტერი ჰორნი მიიჩნევს, რომ ინტელექტის დონე არა იმდენად გენეტიკითაა განპირობებული, რამდენადაც ცხოვრების წესის ზემოქმედებით ყალიბდება. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ტვინი ჩვენსავე ხელშია! მეცნიერმა გონებრივ შესაძლებლობათა განსავითარებლად სამი მარტივი პლუსი და სამი მარტივი მინუსი დაასახელა, ესენია:

პლუსები – ურთიერთობები ოპტიმისტებთან; ცნობისმოყვარეობა და რეგულარული სექსი; **მინუსები** – დიეტებით ჭარბი გატაცება; არაინტელექტუალური სერიალების ყოველდღიური ნახვა და წუწუნი, წარუმატებელ ხალხთან ხშირი ურთიერთობა.

კანადელი ფსიქოლოგები კი გვირჩევენ, რომ თუკი საკუთარი ინტელექტის გაძლიერება გვსურს, არ ღირს ზედმეტად მიზანდასახულ ადამიანებზე სწორების აღება. საქმე ისაა, რომ დასახული მწვერვალის ნებისმიერი ძალისხმევა ადამიანს ფიტავს და გონებას უჩლუნგებს. – არის კარები, რომლებიც უბრალოდ არ იღება, უსაზღვრო შესაძლებლობების მქონე პირთა ოდენობა კი ერთ პროცენტზე ნაკლებია. ამიტომ საჭიროა ამასთან შეგუება და საკუთარი გზით სიარული, – ამბობს ტორონტოელი ფსიქოანალიტიკოსი **მაიკლ დიუბუა**.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6617; ევრო - 3.0354;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3633
100 რუბლი - 3.8939; თურქული ლირა - 0.5020;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5659;
1000 სომხური დრამი - 5.4994.

ამინდი 26 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +8
თბილისი: ღამე 0, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge